ISSN 0132—5973

140
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

8
1985



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გვირილაა,
ეს
ვარდკაჭაჭა,
ესეც
ლილილო...
თაიგულებად
შეკრული
ეს
ყვავილები
მერე
სასადილოს
მაგიდებს
დაამშვენებენ.

# კი, ასე ცხოვრობს «მერცხალი»



პიონერებმა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი უძღვნეს ახალგაზრდობისა და სტუდენტების მოსკოვის ფესტივალს.

**მ. კარგარეთელი**

გ. ცაგარელის ფოტოები

ქალაქის ბუღს თავდაღწეული ცხვარიჭამიას ავტობუსი ყოჩაღად შეუყვა გზას. ფანჯრებს მიციებული ბავშვები მზერად იქცნენ, უფროსებმა კი უმალ გამონახეს საერთო.

— მე ჩემები პირველად მიმყავს ბანაკში და არ ვიცი, როგორ შეეწყობიან... სამივემ კი უთენია გაიღვიძა სიხარულისაგან... ვნახოთ, მერე როგორი კმაყოფილები იქნებიან, — ღელავს თამარის, ვახტანგისა და არჩილის მამა და მალიმალ კითხულობს, „მთიანეთს“ ხომ არ გავცდითო. ჯერ ადრეაო, ამშვიდებენ სხვები, ყველას ჩამოგვარიგებს ავტობუსი, „მთიანეთში“ მიმავლებსაც, „მშენებელშიც“, „მერცხალშიცო“ და იმასაც ამატებენ, ნამდვილად მოეწონებათ თქვენს ბავშვებს ბანაკი, ჩვენები პირველი ნაკადიდანვე ისვენებენ აქ და მეორე ნაკადზე დარჩენასაც გვთხოვენო.

— ადგილი კი საუკეთესო ყოფილა, ტყეში ჩაფლული, ჰაერიც მშვენიერია... — თითქოს მშვიდდება მამა, ხოლო როცა მერე კვების სიავკარგესაც აზუსტებს, საბოლოოდ რწმუნდება, რომ მის შვილებს ნამდვილად კარგი ზაფხული ელით და უკვე სამომავლო გეგმებსაც უზიარებს მათ: — შაბათს რომ ჩამოგაკითხავთ, ფოტოაპარატსაც წამოვიღებ...

ეჭვი არ არის, იმ მზრუნველი მამის სამი ბავშვი ისევე კმაყოფილი იქნება ცხვარიჭამიაში გატარებული დღეებით, როგორც დანარჩენი ხუთი ათასი გოგო-ბიჭი, აქაური პიონერული ქალაქის — „ცისკრის“ ბანაკებში რომ დაისვენებს წლევანდელ ზაფხულის არდადეგებზე. ანდა ვინ უნდა იყოს უკმაყოფილო, როცა საბანაკო ცხოვრების თითოეული დღე ფიზიკურ სიმრთელეს, ხა-

ლისს, ცოდნასა და ახალ მეგობრებს სძენს ნორჩებს.

კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს პიონერულ ბანაკ „მერცხალში“ შაბათს, ანუ მშობლების დღეს მოვხვდით. დიდი ჯაფა ადგათ იმ დღეს ჭიშკართან მორიგე პიონერებს, წამდაუწუმ ჩარბოდნენ ბანაკში, ხან ერთს უხმობდნენ, ხან მეორეს, მშობლებმა ჩამოგაკითხესო.

— ყველაფერი ძალიან კარგია, საინტერესოდ და ხალისიანად ვატარებთ დროს, კერძებიც გემრიელია, ის კი არა, დამატებასაც ვთხოულობთ, — სხაპასხუპით აბარებენ ანგარიშს ბავშვები. — ოღონდ... — რა, ოღონდ? — ყურებს ცქვეტენ მშობლები. — აი, დღისით რომ არ გვაძინებდნენ... — რას იზამ, — მშვიდდება დედ-მამა, — რეჟიმი რეჟიმია.

ხომ ასე ბუზღუნებენ და უხალისოდ მიდიან პალატებისკენ წყნარი საათის დროს გოგო-ბიჭები, მერე გამოღვიძებას არ ადგება საშველი, ლამის ყველა სამხარი დაგვიანებით დაიწყოს.

ადრე, როცა ცხვარიჭამიაში ჯერ კიდევ კარგა გრილა, ილვიძებს „მერცხალი“ და მთელი შემადგენლობით აერობიკის ჩასატარებლად ეწყობა სასპორტო მოედანზე. დიახ, აერობიკის და არა ჩვეულებრივი დილის გამამხნევებელი ვარშიჯისთვის. საბანაკო მუშაობის უდიდესი გამოცდილების მქონე პედაგოგმა, სახალხო განათლების წარჩინებულმა მერაბ ოსიევმა სწორად იუღო ალლო დროსა და ბავშვების განწყობილებას — ნორჩებს ძალიან მოსწონთ რიტმული ვარჯიში და საყვირის ხმაზე წამოფრენილნი რომ იწყებენ მას, დამთავრებაც აღარ უნდათ ხოლმე. მაგრამ მერაბ მასწავლებელმა ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იცის, 15 წუთზე მეტი ვარჯიში გადატვირთავს და ქანცს გამოულევს ბავშვს, მთელი დღისათვის გათვალისწინებულ ძალასა და ენერგიას დაუშრეტს. ვარჯიშს, როგორც წესი, საძილე ოთახების მოწესრიგება, დილის ტუალეტი, საზეიმო ხაზი და საუზმე მოსდევს. მერე კი... მერე კი საინტერესო ღონისძიებებით სავსე მორიგი დღე იწყება, სხვადასხვა სახის თამაშობები, სპორტული შეხვედრები მეზობელი ბანაკების პიონერებთან, თვითმოქმედების კონცერტები, ახალი პიონერული სიმღერების შესწავლა, თემატური დილა, ვიქტორინები, კონკურსი საუკეთესო კედლის გაზეთზე, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, ექსკურსიები, ლაშქრობები, შიდასაბანაკო სპარტაკიადა, მხიარული სტარტები, კინოფილმების ჩვენება და კიდევ რამდენი რამ, რაც სულიერად ამდიდრებს და ფიზიკურად აკაჟებს ნორჩებს. გა-





არცერთი წუთი არ არის „მერცხალის“ ცხოვრებაში მოსაწყენი და უინტერესო. სპორტული შეჯიბრებები, კონცერტები ახალისებენ და ამრავალფეროვნებენ დასვენების ყოველ დღეს.



გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
8 აგვისტო 1985
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ნა დაავიწყდება რომელიმე მათგანს მხიარული კონკურსი „აბა, ბიჭებო!“, რომელშიც მესამერაზმელებმა გაიმარჯვეს; ან ფეხბურთის მატჩი ბანაკ „მშენებელის“ პიონერებთან (მატჩში ანგარიშით 3:2 „მერცხალმა“ გაიმარჯვა); ან თუნდაც სამწყობრო მომზადების კონკურსი, რომელშიც კვლავ და კვლავ მესამერაზმელებმა იმარჯვეს. რა ცხოველი ინტერესი გამოიწვია დისპუტმა „როგორი უნდა იყოს პიონერი“, რა საინტერესოდ ჩატარდა საუბარი „ტყე ჩვენი სიმდიდრეა“, რამდენმა პიონერმა მიიღო მონაწილეობა საღამოში „ვინ მინდა გამოვიდე“! მართლაც რომ, მოსაწყენად ვერავინ იცლის „მერცხალში“. ბანაკის დირექტორი ზაზა ბრეგვაძე, უფროსი პიონერხელმძღვანელი ლია ადუაშვილი, რაზმების ხელმძღვანელები და პედაგოგები, პიონერული აქტივი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა ბანაკში გატარებული ყოველი დღე სასიამოვნო, დასამახსოვრებელი და სასარგებლო იყოს აქ ჩამოსული თითოეული პიონერისთვის.



სადილის დრომაც მოაწია. ცოტაც და, მორიგე გემრიელ კერძებს ჩამოარიგებს.

# ჩვენ... ცისკრელები






**ნინო ხარაზიშვილი**

ის იყო შეწყდა კოკისპირული და ღამის გრილ მდუმარებაში კიდევ ერთი-ორი საათით ჩამყუდროვდა ჯარისკაცური კარვებით მოფენილი პატარა ქალაქი, რომ გაისმა სირენების გამაყრუებელი ხმა... ერთმანეთს მიჰყვა აფეთქებების ზათქი და ტყვიების გაბმული წივილი... მერე ელდა ლევიტანის ნაცნობი ხმის გაგონება იყო. იგი ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის შესახებ ატყობინებდა საბჭოთა ადამიანებს.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისევე იყო, როგორც 1941-ის 22 ივნისის საბედისწერო დილას... იმ განსხვავებით, რომ ეს იყო იმ მძიმე წლების არდავიწყების ნიშნად პიონერების მიერ შეთხზული იმიტაცია და ხდებოდა ომის დაწყებიდან 44 წლის შემდეგ ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე გაშენებულ კარვების ქალაქში — საკავშირო პიონერული სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკრის“ XI რესპუბლიკურ ფინალზე.

ვათვალიერებთ ნორჩ არმიელთა გამოშვებულ პირველ „საბრძოლო ფურცლებს“.

ტყიბულის 1-ლი საშუალო სკოლის ნორჩი არმიელი ლელა გოჩიაშვილი დაწვრილებით აღწერს რესპუბლიკური ფინალისათვის სკოლის ცისკრელთა რაზმის მზადებას. არც პირველ წარმატებათა სიხარულის აღნიშვნა ავიწყდება. თერ-

ჯოლის მე-2 საშუალო სკოლის ნორჩი არმიელები კი ხუმრობას გვთავაზობენ: ძალზე სასაცილოდ მოგვითხრობენ სამოქალაქო თავდაცვის შეჯიბრების დროს „ბომბის" გასკდომის და მამუკას წუწუნის ამბავს... ცოტა უფრო ქვემოთ ქარელელ ნორჩ მეხანძრეთა წარმატებების ამბის შესახებ შეგვიძლია შევიტყოთ.

და ასეა სულ... ასეთივე ხალისიანი განწყობილება და ფინალში მონაწილეობით მოგვრილი სიხარული მეფობს სამხედრო ქალაქის 25-ვე კარავში, ამ ქალაქის ვალენტინ კოტიკის, ახალგაზრდობისა და სტუდენტთ XII მსოფლიო ფესტივალის, ლიონია გოლიკოვის და გამარჯვების 40 წლისთავის სახელობის ქუჩებზე. სიხარული სახეზე აწერია ფინალის 500-ზე მეტ მონაწილე ნორჩ არმიელს.

პირველ დღეს ცოტა არ იყოს დაიმორცხვეს რესპუბლიკურ ფინალზე ჩამოსულმა ცხინვალის რაიონის ქსუისის საშუალო სკოლის ნორჩმა არმიელებმა — ახალბედები იყვნენ... ასპარეზობებზე თავის გამოჩენას მაინც წინ არაფერი დაუდგომია. რაზმმა სროლაში 461 ქულა დააგროვა და მეორე ადგილი დაიმსახურა. აი, სად გამოადგათ სკოლის დერეფანში საკუთარი ხელით მოწყობილ ტირში ნასწავლნავარჯიშევი... მერე ის იყო, რომ მეთაურთა საბანაკო კონკურსში გაიმარჯვა რაზმის ციცქნა წინამძღოლმა — მეხუთეკლასელმა ალინა ძუკაევამ. ამ სიხარულმა ხომ ყველა სხვა გადაფარა...

უფრო გამოუცდელი მოვიდა ყვარლის რაიონის ჭიკაანის საშუალო სკოლის ცისკრელთა რაზმი. რაზმის სამხედრო ხელმძღვანელი, ომის ვეტერანი შალვა მორგაძე იხსენებს, დუშეთის მე-5 რესპუბლიკური ფინალის შემდეგ „ცისკარში" მონაწილეობა არ მიგვიღიაო. სასიამოვნოა, რომ ჭიკაანელებმა წელს დასძლიეს ამდენი წლის პასიურობის ინერცია: რაზმმა სამხედრო-სპორტულ ასპარეზობებზე მშვენიერი მომზადება და მობილიზება აჩვენა. შთაბეჭდილებაც უამრავი დაუგროვდათ, მათ შორის პიონერებისათვის ყველაზე დასამახსოვრებელი აღმოჩნდა შეხვედრა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილესთან, გენერალ-მაიორ იური ზაიცევთან. ეს ყველაფერი საინტერესოდ აისახა რაზმის სანიმუშო „სამხედრო" კორესპონდენტის ელიზა ლურსმანაშვილის გამოშვებულ „საბრძოლო ფურცლებში".

ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის „ცისკრულ" ტრადიციებს ამ სამხედრო-სპორტული თამაშის თითქმის ყველა მონაწილე იცნობს. ნორჩ არმიელთა ძალზე ძლიერი რაზმისაგან გადმოეცათ მემკვიდრეობად პირველობისათვის ბრძოლის განწყობილებები ნორჩ არმიელთა რაზმის დღევანდელ, შედარებით გამოუცდელ წარმომადგენლებს. სკოლის ცისკრელთა რაზმის ცნობილი მეთაურის მანანა ლალიძის რაზმის მებრძოლებს დიდად ემადლიერებიან ახალბედები — სამხედრო-საწვრთნელ ვარჯიშებშიც ძალიან გვეხმარებოდნენ და წამოსვლის ბოლო წუთამდეც გვგულშემატკივრობდნენ, ვაგზალზეც ყველამ ერთად გამოგვაცილაო... ალბათ ამ თავისებური მხარდაჭერის სითბომ თუ გამოარჩია აგიტბრიგადების საბანაკო დათვალიერებაზე ფოთელთა აგიტბრიგადა (მე-2 ადგილი), მისი გამოშვებული „საბრძოლო ფურცლები", რაზმის ცალკეულ არმიელთა: მედდების — თამრიკო თოფურიას, ნინო პეტროსიანის (ნინო მძლეოსნობაშიც დაწინაურდა), ხათუნა გუჯაბიძის, მსროლელ მურად ბუბუტეიშვილის (ამ სახეობაში რაზმმა პირველი ადგილი დაისაკუთრა), მძლეოსან ზვიად ჩემიას, მოცურავე ლაშა ნანეიშვილის წარმატებები.

გორის მე-7 საშუალო სკოლის ნორჩი არმიელები არაერთგზის ყოფილან „ცისკრის" რესპუბლიკური ფინალების გამარჯვებულთა შორის და ამას ისინი უმთავრესად თავიანთ საყვარელ სამხედრო ხელმძღვანელს ანდრეი ვოლკოვს უმადლიან. რაზმის შედარებით ახალგაზრდა შემადგენლობა წელსაც მომზადებული მოვიდა რესპუბლიკურ ფინალზე, ასპარეზობის რამდენიმე



სამწყობრო დათვალიერებაზე

სამხედრო თუ სპორტულ სახეობაშიც საპრიზო ადგილები მოიპოვა, თუმცაღა, საერთო მაჩვენებლებით, მესამე ადგილს დასჯერდა. ისე კი, საერთო გამარჯვებისათვის ბრძოლას დიდი ენერგია დაახარჯა რაზმის ყველა ნორჩმა არმიელმა, რაზმის საუკეთესო მოცურავეებმა ჟანა დერზიბაშევამ და ვოვა სისოენკომ, მძლეოსანმა ზურაბ კაზიაევმა, მოძრაობის ინსპექტორებმა თემურ ერგემლიძემ და ანდრეი კაზარიანმა. განსაკუთრებით სამველ ისპირიანმა გამოიჩინა თავი: მეხანძრეთა კონკურსის დროს მან უმოკლეს დროში — 6 წამში მოახერხა ცეცხლის ჩაქრობა. მისმა წარმატებამ, ბუნებრივია, იმოქმედა ამ სახეობაში რაზმის დაწინაურებაზე — სახანძრო საქმეში გორის ნორჩმა არმიელებმა პირველი ადგილი მოიპოვეს.

წარმატებების გარდა, თუ კიდევ რაიმე ჰქონდათ თავმოსაწონი ფინალის მასპინძელი ქალაქის — ლაგოდეხის მე-2 საშუალო სკოლის ნორჩ არმიელებს, ეს, უპირველეს ყოვლისა, მათი სტუმრები არიან — რიგითი რაილ გიზატოვი და სერჟანტი თემურ შარიქაძე... რაზმის მიერ ღირსეულად დამსახურებულ მეორე ადგილს სკოლის ხელმძღვანელობა სწორედ მათ უმადლის. მთელ სასწავლო წელს შეფებთან ყოველდღიურმა კონტაქტმა და რაზმის სამხედრო-საწვრთნელ მეცადინეობებში მათმა აქტიურმა ჩარევამ სამხედრო საქმის ნამდვილ პატარა ოსტატებად აქცია რაზმის მეთაური ოლეგ ბლინოვი, პოლიტხელი იგორ ფისიუკი (სხვათა შორის, იგორმა, როგორც ნორჩმა პარაშუტისტმაც, მოხიბლა თანატოლები), ელენა ვილინგურსკაია, ირინა პანასიუკი, ოქსანა ალეინიკი. ამის შედეგი იყო პირველი ადგილები სამწყობრო სიარულსა და დაზვერვაში, ტყვიის სროლაში, სამოქალაქო თავდაცვასა და სანიტარულ მომზადებაში. საგულისხმოა ის პირველი ადგილიც, რომელიც საუკეთესო მხატვრული თვითმოქმედების ჩვენებისათვის აგიტბრიგადების საბანაკო დათვალიერებაში მოიპოვა რაზმის აგიტბრიგადამ.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ რესპუბლიკური ფინალის გამარჯვებულებზე — თბილისის 72-ე საშუალო სკოლის ნორჩ არმიელებზე. ამ რაზმზე ფინალის დაწყების პირველსავე დღეებში ალაპარაკდნენ, როგორც სანიმუშო სამხედრო დისციპლინის მქონე ნორჩ არმიელებზე. რაზმის ეს ძვირფასი თვისებები განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა განგაშის დროს. მერე კი თანდათან აისახა იმ წარმატებებშიც, რომლებსაც რაზმელები თითქმის ყველა სამხედრო და სპორტულ შეჯიბრებაში აღწევდნენ. რაზმის არმიელთა საერთო წარმატებები აძნელებს მათ შორის საუკეთესოთა გამოყოფას. თუმცა, რაზმის მეთაურ მიხეილ ბოსტანიდის და პოლიტხელ ირინა პოტაპოვას გამარჯვებებზე მაინც გამორჩევით უნდა ითქვას. ასეთივე გამორჩევის ღირსნი არიან ელენა ნაიდენოვა, ანდრეი ზაიჩუკი, რაზმის მედოლე ინგა კაბულოვა, ბანაკის მესაყვირე ემილ პეტროსიანი და სხვები.

რაზმი ძალიან ამაყობს თავისი შეფების—თბილისელი მეომრების მიერ ნაჩუქარი პრიალა ბალთიანი ჯარისკაცური ქამრებითა და დროშებით. გამოცდილ მეომრებთან ასეთი ახლო მეგობრობა მხედრული ოსტატობის ზრდის საფუძველია.

ამდენი საზრუნავი და გასართობი ისე გალევდა მთელ დღეს პატარა სამხედრო ბანაკში, რომ ვერავინ იგებდა დაღამებას. ასპარეზობები, მეგობრული პაექრობანი, ომის ვეტერანებთან, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულებთან შეხვედრები, ექსკურსია ლაგოდეხის უნიკალურ ნაკრძალში, დიდების მემორიალთან მოწყობილი მიტინგი-რეკვიემი, მხატვრული ფილმის „ზეცის კარნავალის“ ჩვენება, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ჰერეთის“ კონცერტი...

შეჯიბრება და გართობა პლუს მეგობრობა... მეგობრობა, ურომლისოდაც არ არსებობს არც ერთი პიონერული კოცონი. ურთიერთობის უამრავი ახალი ძაფი, რომლებიც ცისკრელთა ამ რესპუბლიკურ ფინალზე გაიბა გორელ და ფოთელ, ლაგოდეხელ და ქუთაისელ, ცხინვალელ და თბილისელ, დუშელ და ბათუმელ, ახალქალაქელ, რუსთაველ, ჩოხატაურელ, სამტრედიელ, მაიაკოვსკელ, მახარაძელ, გულრიფშელ, ტყვარჩელელ და ტყიბულელ მოსწავლეთა შორის; მეგობრობა, რომელსაც პიონერთა მომავალი შეხვედრები კიდევ უფრო მეტ სიმტკიცესა და სითბოს შესძენს.



გაიცანით: ფინალის გამარჯვებული — თბილისის 72-ე საშუალო სკოლის ნორჩ არმიელთა რაზმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალ ჭაბალუა

მხატვარი
თენგიზ სამსონაძე

# შეცდომა

მოთხრობა

მაისის ნათელი, მშვიდი დილა იყო. ქარხნის ჭიშკართან ჩვენები უკვე მოგროვილიყვნენ. ხელის აწევით მივესალმე და ვიკითხე:

— ფარაონი არ მოსულა?

— შიგნითაა, — მიპასუხა აკადემიკოსმა.

ქარხანაში უწყვეტ ნაკადად შედიოდა ხალხი. უმეტესობა ახალგაზრდები იყვნენ, ჩაჯინსული და ჩაველვეტებული ქალიშვილები და ჭაბუკები. იფიქრებდი, სამუშაოდ კი არა, საზეიმო შეხვედრაზე მოდიანო.

— ეს რა ამბავია, საბავშვო ბაღი ხომ არ გაუხსნიათ აქ? — ხმამაღლა უთხრა მაღალმა, შავგვრემანმა ახალგაზრდამ ტანთხელ, წაბლისფერთმიან, ლამაზ ქალიშვილს.

— ალბათ ექსკურსიაზე მოიყვანეს, — თქვა ქალიშვილმა ღიმილით.

— მერედა, ასე უთენია რა მოარბენინებდათ, ქარხანა გაიქცეოდა თუ?

იმ დროს, როცა მათ გვერდით უნდა ჩაგვევლო, ხმამაღლა ვთქვი:

— ნიკ, ვერ გამიგია, ეს ქარხანაა თუ პიონერების თავშესაყარი?

ახალგაზრდა შეჩერდა და შემომხედა. მეც უტიფრად გავუსწორე თვალი.

— ჰმმ! — სიცილი წასკდა ქალიშვილს, მერე ხელმკლავი გაუკეთა ახალგაზრდას და გაიყოლა.

გოგონებისაკენ გავიხედე. რუთის ველვეტის შავი შარვალი და ცისფერი, მაღალსაყელოიანი პერანგი ეცვა, ძალიან უხდებოდა. გამიღიმა და ჯგუფს გამოეყო. მეც მისკენ გავემართე.

— ლევ, რატომ კოჭლობ?

— წუხელ დავეცი და მუხლი ვიტკინე.

შესასვლელიდან ფარაონი გამოვიდა ვიღაც ტყავის პიჯაკიან ახალგაზრდასთან ერთად. როგორც შემდეგ გაირკვა, იგი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო. ფარაონმა თვალი გადაგვავლო და ხმამაღლა გვითხრა:

— აბა, წავიდეთ!

ტურნიკეტი გავიარეთ, გრძელი, განიერი კიბით ეზოში დავეშვით და ხმაურით შევედით სამსართულიან შენობაში. გრძელი დერეფნით იმ ოთახს მივადექით, რომელზეც ეწერა: „კადრების ინსპექტორი".

ოთახში განიერ საწერ მაგიდას ქერათმიანი ქალი უჯდა. ოთახში კიდევ ორი ქალიშვილი იჯდა, ერთი შავგვრემანი, მეორე — ქერა.

— ცოტა წყნარად, ყმაწვილებო, — გვითხრა ქალმა.

ფარაონმა გადმოგვხედა და ხმაური თანდათან მიწყდა. მერე ქალიშვილებს რაღაც საქაღალდეები მოატანინა და დაიწყო განაწილება. გოგონებიდან ოთხი საწყობში გაუშვეს, სამი, მათ შორის რუთიც, ლაბორატორიაში, ხოლო ოთხი გამწვანებას მიამაგრეს. ქალმა გოგონების გვარები ფურცელზე ჩამოწერა და შავგვრემან ქალიშვილს გაუწოდა:

— ჟანა, გენაცვალე, წაიყვანე ესენი!

— გოგონებო, წამოდით, — თქვა ჟანამ და წინ გაუძღვა.

კადრების ინსპექტორი ახლა ჩვენს დანაწილებას შეუდგა. ბიბი, ჩიგო და ჯუბი მექანიკურ საამქროში მოხვდნენ, აკადემიკოსი და ჟურნალისტი — ამწყობ საამქროში, ბლერო დურგლებთან გაუშვეს. მე კი ახალგაზრდულ-კომკავშირულ ბრიგადაში გამამწესეს.

— სვეტა, საყვარელო, ჩააბარე ესენი თავიანთ პატრონებს! — უთხრა ინსპექტორმა ქერა ქალიშვილს და ჩვენი განაწილების ქაღალდი გადასცა. — აბა, ბიჭებო, გისურვებთ პრაქტიკის ფრიადზე გავლას!

— გმადლობთ და იმედი გქონდეთ! — თქვა აკადემიკოსმა. — სხვა ნიშნები ჩვენთვის არ არსებობს.

თვალუწვდენელ ტერიტორიაზე გადაჭიმულ საამქროებში რკინის ჭახანს და ჭრიალს გაბმული გუგუნი და კომპრესორების ქშენა-დიგდიგი ერთვოდა. მექანიკური საამქროს უზარმაზარ კარს რომ მივადექით, ყურებზე ხელები ავიფარეთ.

— ბიბილეიშვილი, ჩიგოგიძე, ნარეშელაშვილი, წამოდით! — მთელი ხმით დაიძახა სვეტამ. — დანარჩენებმა აქ დამიცადეთ!

სვეტას მოლოდინში კარში შევედით და კისერი წავიგრძელეთ. რამდენიმე ნაბიჯს იქით უზარმაზარ მექანიკურ უროსთან იდგა წელზევით შიშველი, მუშამბის წინსაფრიანი დაკუნთული ჭაბუკი. ვეება რკინის მარწუხით მან გავარვარებული რკინის ნაჭერი მექანიკური ჩაქუჩის ქვეშ გრდემლზე დადო. მექანიკური ჩაქუჩი უშველებელი დანადგარია, მის კაბინაში, მაღლა, სპეცტანსაცმლიანი ქალიშვილი იჯდა. როგორც კი ახალგაზრდამ გრდემლზე რკინის ნაჭერი დადო, ქალიშვილმა ჩაქუჩი ჩართო. დანადგარმა ერთი დაიქშინა და ურო მთელი ძალით წამოვიდა, მაგრამ, თითქოს რკინის ნაჭერს ეთამაშებაო, მიუახლოვდა თუ არა, ოდნავ შეეხო და უცებ ისევ ზევით ავარდა. მერე კი, მოგეცათ ლხენა, დასცხო და დასცხო. ახალგაზრდა საოცარი მოხერხებით ატრიალებდა გავარვარებულ რკინის ნაჭერს, უროს უმარჯვებდა და თანდათან გარკვეულ ფორმას აძლევდა. როცა რკინამ რომელიღაც დეტალის დასრულებული ფორმა მიიღო, ახალგაზრდამ ისე მსუბუქად

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 6, 7.

ისროლა გვერდზე, თითქოს ფანერის ნაჭერი ყოფილიყოს. მერე შუბლიდან მკლავით მოიწმინდა ოფლი, ქურასთან მივიდა და ისევ გამოათრია გავარვარებული რკინის დიდი ნაჭერი... ვიღაცის ხელის შეხებამ გამომარკვია. სვეტა იყო, წამოდიო, მანიშნებდა. „რა იქნებოდა, მეც აქ მოვხვედრილიყავი!" — გავიფიქრე. ძალიან მომეწონა აქაურობა და სიამოვნებით ვიმუშავებდი.

ქარხანა უზარმაზარი ჩანდა. ეზოს შუაში რკინიგზა გადიოდა. რკინიგზა გადავიარეთ და გამოჩნდა რკინაბეტონით ნაგები საამქრო. საამქროში რკინიგზის ოთხი ხაზი შემოდიოდა, რომლებზეც ვაგონები იდგა. ერთ-ერთ ვაგონთან, რომელსაც ჯართი უფრო ეთქმოდა, ვიდრე ვაგონი, ბიჭები იდგნენ და მაღალ ახალგაზრდას უსმენდნენ. ყველას სპეცტანსაცმელი ეცვა და შორიდან ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. სვეტა შეჩერდა, განაწილების ფურცელს დახედა და დაიძახა:

— გოგოძე!

წინ გამოვედი. სვეტამ მკლავზე მომკიდა ხელი და ხმამაღლა დაიძახა:

— რეზო, ჩაიბარე შენი პრაქტიკანტი. იცოდე, ერთი ფრჩხილიც რომ წამოსტკივდეს, საკუთარი თავით აგებ პასუხს.

ახალგაზრდა შემოტრიალდა და გავშრი. ეს ის შავგვრემანი, მაღალი ვაჟი იყო, ქარხნის კარებთან რომ თქვა, აქ საბავშვო ბაღი ხომ არ გახსნესო.

— გამარჯობათ. — მივესალმე ყველას.

— ოო, პიონერების თავშესაყარის სტუმარს გაუმარჯოს! — თქვა იმ მაღალმა და ხელი გამომიწოდა. — რეზო შულაია.

მე ხელი ჩამოვართვი და ვთქვი:

— ლევან გოგოძე!

— ზურაბ წილოსანის ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადა, — თქვა რეზომ და ჯმუხი ახალგაზრდისკენ გაიშვირა ხელი. — სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაივლი პრაქტიკას. სხვათა შორის, ზურაბის ბრიგადა ერთ-ერთი საუკეთესოა ქარხანაში. — მერე ზურაბს მიუბრუნდა: — ზურაბ, აბა, მიხედეთ საქმეს! ფრთხილად, ბიჭი არ დაგიმარცხდეთ. — თქვა და წავიდა.

— აბა, ბიჭებო, ადგილებზე! — დაიძახა ზურაბმა. — შენ კი, ლევან, ჩემთან წამოხვალ!

რატომღაც სევდა შემომაწვა. საამქროს შუაში ჩამოკიდებულ, სავსე მთვარესავით მრგვალ ელექტროსაათს შევხედე. დრო თითქოს გაჩერებულიყო. ცხრას ოცი წუთი აკლდა. სამ საათამდე გაძლება არ გინდოდა! ზურაბი წინ მიდიოდა, მე უკან მივყვებოდი. მერე, აქ დამიცადეო, მითხრა და საამქროს სიღრმეში, მინის კედლებიან ოთახში შევიდა. „ღმერთო, უფრო ენერგიულად დაატრიალე დედამიწა, რომ მალე გავიდეს ეს ერთი თვე", — გავიფიქრე და წუხანდელი ამბავი მომაგონდა. „რა უნდა ვქნა?! როგორ გადავიხადო ორასი მანეთი? ან რაღა მაინცდამაინც წუხელ დამხვდნენ? იმ იდიოტს ჩემს მეტი ამხანაგი არ ჰყავს, რომ ის ფული მე მომიტანა შესანახად? თავის ძმაკაცებს, ალბათ, არ ენდობა..."

— აჰა, ეს — სათვალე, ეს კიდევ — ხელთათმანები. გაუფრთხილდი, პრაქტიკას რომ გაივლი, ჩამაბარებ! — ფიქრებისაგან ზურაბმა გამომარკვია.

„გავუფრთხილდე, თორემ დიდი რამეები არ იყოს!" — გავიფიქრე და ნივთები უგულოდ ჩამოვართვი.

ვაგონში ავედით და გაოცებისაგან პირი დავაღე. მსგავსი რამ არაფერი მენახა. ისე იყო გაპარტახებულ-გავერანებული, იფიქრებდი, დაბომბვასა და ხანძარშია მოყოლილიო.

„გიჟები არიან, ამისგან რა გამოდნება!" — გავიფიქრე და სათვალე გავიკეთე. ყველაფერს მწვანე ფერი დაედო. კიდეც ვუთხარი ზურაბს.

— არაფერია, მიეჩვევი.

— ჩემი თავი რომ ჩაგაბარათ, ის ბიჭი რას წარმოადგენს?

— რეზო? ჩვენი საამქროს უფროსია. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მოვიდა ამ ქარხანაში, აქე-



დან წავიდა არმიაში, სამხედრო-სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ ისევ აქ დაბრუნდა, ინსტიტუტში მოეწყო და წარჩინებით დაამთავრა. ახლა ერთ-ერთი საუკეთესო ინჟინერი და ძალიან კარგი ბიჭია. — თქვა ზურაბმა და შემდუღებელი აიღო. — ჩვენ ეს ძველი, უვარგისი ფარები უნდა ჩამოვჭრათ და მათ ნაცვლად ახლები უნდა მივადუღოთ.

— მე რა უნდა ვაკეთო?

— შენ ფარებს დამიჭერ, — მიპასუხა და შემდუღებელში ნახშირის წკირი ჩადო, დამცველი სათვალე გაიკეთა, ხელის სწრაფი მოძრაობით კაბელი გაასწორა. — სათვალე გაიკეთე!

სათვალე ჩამოვიწიე და მიბნედილ სივრცეში სასიამოვნო, იისფერმა ალმა იელვა. ზურაბი ვაგონის კედელზე ხაზს ისე რბილად, მსუბუქად ავლებდა, შეგშურდებოდა. მომინდა, უსათვალოდ შემეხედა მისთვის. სათვალე ავიწიე და ჭახჭახა, თვალისმომჭრელი ელვარება სახეში მტკივნეულად მეძგერა. ზურაბმა როგორ დამინახა, არ ვიცი, შედუღება შეწყვიტა და მიყვირა:

— არ მოიხსნა სათვალე, დაბრმავდები!

სათვალე ჩამოვიწიე და კედელზე კვლავ აინთო სასიამოვნო, მოთიმთიმე ცისფერი ალი. მალე ჩამოვჭერით ძველი ფარი და მის ადგილზე ახალი, პრიალა ფარი მივადუღეთ.

— რამდენ ხანს მოვუნდებით ამ ჯართის აწყობას?

— ხუთ დღეში უნდა მოვრჩეთ, — თქვა ზურაბმა.

— ხუთ დღეში?!

— არა გჯერა, ხომ? ნახავ! — მშვიდად მითხრა ზურაბმა.

●

სასადილოს შესასვლელთან ფარაონის გარშემო მთელ კლასს მოეყარა თავი. ერთად ვისადილეთ და მერე ჩვენი „შვიდეული“ ბაღში მერხზე ჩამოვსხედით.

— დავიღალე! — თქვა დიპლომატმა.

— რას აკეთებდი? — დავინტერესდი.

— ფიცრების თრევით წელში გავწყდი.

— არა უშავს, შრომა გაგაკეთილშობილებს, — დიდსულოვნად შენიშნა არქიტექტორმა.

— მე არ მჭირდება, ისედაც გაკეთილშობილებული ვარ.

— არც ჩვენ ვყოფილვართ გულხელდაკრეფილნი, — თქვა არქიტექტორმა. — მე, ჩიგო და ბიბი მზა დეტალებს დავათრევდით ურიკებით ჩვენი საამქროდან მტვიფრავებთან და მღარავებთან. იქამდე თითქმის ერთი კილომეტრია.

— ჩვენ კიდევ ჭანჭიკებს ვუჭერდით. ის ოხერი ხელთათმანები ველარ ვიხმარე და ხელები სულ გადამეყვლიფა! — წაიწუწუნა აკადემიკოსმა. მერე სათვალე გაისწორა და თქვა: — ხვალისთვის რა გადავწყვიტეთ?

— მე ამას წინათ საჩუქრების მაღაზიაში შევიხედე და ინდური წურწურა ვნახე. ძალიან მომეწონა, — თქვა არქიტექტორმა.

— რა ღირდა? — იკითხა გამომძიებელმა. — ხელი მიგვიწვდება?

— ორმოცდაათი მანეთი!

— თუ კარგია, ვიყიდოთ, — თქვა აკადემიკოსმა. — თითოს რვა მანეთი მოგვიწევს.

— ვნახოთ! — თქვა ჩიგომ.

— ბიჭებო, დროა. შესვენებას უკვე ხუთი წუთი გადასცილდა! — შეუმჩნევლად წამოგვადგა თავს ფარაონი. — დაგვიანება სირცხვილია...

## 7

შეთანხმებისამებრ, მუშაობის დამთავრების შემდეგ ყველამ ქარხნის გასასვლელთან მოვიყარეთ თავი.

— უკვე ყველანი ვართ, ხომ? — იკითხა ფარაონმა.

— ვართ! — გაისმა ერთხმად.

— მაშინ, წავიდეთ!

ტურნიკეტი გავიარეთ თუ არა, რუთიმ ხელი გამიყარა და ღიმილით მითხრა:

— ძალიან დაიღალე?

— არც ისე.

— რას აკეთებდი?

— შემდუღებელს ვეხმარებოდი. ვაგონზე ძველ ფარებს ვხსნიდით და ახლებს ვაყენებდით. ძალიან საინტერესო სამუშაოა. შენ რას აკეთებდი?

— არაფერს. სულ ორად ორი კოლბა გავრეცხე. იქ რკინისა და სხვადასხვა შენადნობების სიმაგრეს ამოწმებენ. მე არაფერი გამეგება, ისეთი სამუშაოა. მთელი დღე ფეხებში ვებლანდებოდი ოთარს. იცი, რა კარგი ბიჭია? ინსტიტუტი შარშან დაუმთავრებია, მაგრამ უკვე ლაბორატორიის გამგეა. ამბობენ, ძალიან მაგარი მცოდნეაო. ყველაფერს იმას ეკითხებიან და თვალებში შესციცინებენ.

უცებ ყურებში ხმაური ჩამიდგა. სახეზე ალმური მომედო, დამცხა და ნერწყვი გამიშრა. რუთი კიდევ რაღაცას ყვებოდა, მაგრამ მე უკვე აღარ ვუსმენდი. დამუნჯებული მივყვებოდი გვერდზე.

— რა იყო, რატომ მოიწყინე?

— ვინ მოგახსენა! — ცივად ვუთხარი. — საერთოდ ასეთი ფიზიონომია მაქვს.

— ჰმ, თითქოს პირველად ვხედავდე შენს ფიზიონომიას, — გაიღიმა რუთიმ. — ბიჭები ხომ გააფრთხილე?

— ოთარიც ხომ არ გავაფრთხილო? — ვუკბინე.

— ჰმ, შტერო! — გამიღიმა. — ხვალ ექვს საათზე ჩემთან უნდა იყო!

— ბიჭები მოვლენ!

— შენ რა, არ მოდიხარ?!

— ალბათ, ვერა. გადაუდებელი საქმე მაქვს.

— საინტერესოა, ასეთი რა საქმე გამოგიჩნდა?! — შემომხედა და მრავლისმეტყველად გაიღიმა.

— რომ ვამბობ, ესე იგი მაქვს! — ხმაში ყინული გავურიე და განზე გავიხედე.

— კარგი, როგორც გენებოს! — ცივად მიშვა ხელი და გოგონებისკენ გაიქცა.

„იდიოტო, კრეტინო, უდღეურო, ტარაკანა!“ — შევამკე საკუთარი თავი. გულზე კი რაღაც ლოდივით დამაწვა.

გადასასვლელ ხიდთან კლასს დავცილდით და „შვიდეულმა" ერთად მოვიყარეთ თავი.

— წავედით, ბიჭებო! — თქვა აკადემიკოსმა. — მეტროთი სჯობს.

— თქვენ წადით და ნახეთ, — ვთქვი მე. — გამახსენდა, რომ ნახევარ საათში მწვრთნელთან უნდა ვიყო. აჰა, ფული! — ათმანეთიანი გავუწოდე ნიკას.

—ახლა რად გვინდა! — ხელი უკან წაიღო აკადემიკოსმა. — ხვალ შევკრებთ.

— წავედით! — დაიძახა დიპლომატმა. — ჩაო, ლევ!

— ჩაო!

ბიჭებს დავცილდი და ტროლეიბუსში ჩავჯექი. საძაგელ გუნებაზე ვიყავი. თავში ნოდარის ფული მიტრიალებდა. აზრზე არ ვიყავი, რა უნდა მექნა. მეთქვა მშობლებისათვის, მეუხერხულებოდა, ორასი მანეთის გადახდა არ გინდოდა? ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, არავისთვის მეთქვა და, ვიდრე ნოდარი მომთხოვდა, მანამდე შემეგროვებინა. ცოტა ფული პრაქტიკიდან მერგება, ცოტას სახარჯო ფულიდანაც დავზოგავ. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მამიდები ფულს მჩუქნიან და, წელს რა ღმერთი გაწყრება-მეთქი, ვიფიქრე.

ტროლეიბუსიდან თვალი მოვკარი, ჩვენი სახლის წინ ნოდარი და ვიღაც ბიჭი იდგნენ.

— სად ხარ, ტო, მთელი დღე შენს ლოდინში ჩამოვეწყდი! — შორიდან შემომძახა ნოდარმა. ღრმა ნაფაზი დაარტყა და სიგარეტი წკიპურტით მოისროლა.

— მელოდებოდი, რა, სათამაშოდ ხომ არ ვიყავი.

— არა, ვიცი, ტო, მაგრამ დროში ვიბრიდები, ჩემს დედას ვფიცავარ, — თქვა, როცა მათთან მივედი. — იცნობდე, ეს ჩემი მეგობარია.

— ზაური! — ბიჭმა აგდებით გამომიწოდა ხელი.

— ლევანი, — ვთქვი და ჯიბიდან ხელი არ ამომიღია.

ბიჭმა ცივად შემომხედა და ხელი დაუშვა.

— ლევან, თუ ძმა ხარ, გაიქეცი და ფული ჩამომირბენინე, — მითხრა ნოდარმა და შემომხედა.

უცებ, თითქოს კეფაში დამარტყესო, რაღაც მეტკა და ზრიალით დამიარა სხეულში. ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე და თვალი თვალში გავუყარე. ნოდარმა თვალი ამარიდა.

— დღეს დავითარსე, ტო, ზაურას მანქანა დავუბრიდე, მაყუთი გვინდა, „ნაზარეზ". მაშ!

— შენი ფული წუხელ წამართვეს, — მშვიდად ვუთხარი.

— კარგი, რა მეხუმრება, ტო. ძალიან მეჩქარება!

— სულაც არ გეხუმრები. შენ რომ დაგცილდი, სადარბაზოში წამართვეს.

— ვინ, ტო?!

— ეგ რომ ვიცოდე...

— მე ამ კაცთან არაფერი საქმე არა მაქვს! — უცებ თქვა ზაურმა. — შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ ხვალ საღამომდე თუ ფულს არ გამიჩენ, ჩვენი ძმობა გათავებულია. ხომ იცი, როგორ გაჭედილში ვარ. უკან დასახევი არ მაქვს. ხვალ საღამოსთვის ფულს ველოდები. რაც გინდა, ის ქენი, ეგ მე არ მეკითხება, — თქვა და წავიდა.

წუთით დუმილი ჩამოვარდა. ნოდარმა სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— რა ვქნათ, ტო?

— რა ვიცი...

— ასე გაჭედილი რომ არ ვიყო... შენც ხედავ, რა დღეში ვარ! იქნებ შენს მშობლებს უთხრა. მოგცემენ, ტო.

— ვნახოთ... რაღაცას ვიზამ, — ვთქვი და სახლისკენ წამოვედი...

კარი თაცომ გამიღო. შემომებღოტა, მაკოცა და მითხრა:

— აბა, მიხვდები, ვინ მოვიდა?

— არ ვიცი.

— მაინც? — წინ გადამიდგა. — აბა კარგად დაფიქრდი!

— მომეშვი, აზრზე არა ვარ...



— ვახტანგ ბიძია. ხვალ დილით მოსკოვში მიფრინავს.

გამიხარდა. ვახტანგ ბიძია მიყვარს. ისიც მხოლოდ მე მიფიცებს. დედაჩემზე თორმეტი წლით უმცროსია, ამიტომ დედაჩემი ამბობს, ჩემი გაზრდილიაო. ვახტანგ ბიძიამ სამედიცინო ინსტიტუტი აქ დაამთავრა, ასპირანტურა კი — მოსკოვში და საკანდიდატო დისერტაციაც იქ დაიცვა. ახლა რაღაც ექსპერიმენტში მონაწილეობს. ორ წელიწადში დავამთავრებ და მერე დავბრუნდები საქართველოშიო, ამბობს.

სასტუმრო ოთახში შევედი. სუფრას უსხდნენ: მამაჩემი, ვახტანგ ბიძია, მამაჩემის თანამშრომელი სოსო გორდაძე და დედა.

— ოო, მოვიდა მისი უდიდებულესობის, მუშათა კლასის წარმომადგენელი! — თქვა მამაჩემმა ღიმილით. — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მრეწველობაში მეთერთმეტე ხუთწლედის შესრულება გარანტირებულია.

ვახტანგ ბიძიამ და მე ერთმანეთი გადავკოცნეთ. მერე გვერდით მოვუჯექი, წვრილად გამომკითხა ჩემი ამბები. კარგა ხანს ვიჯექი სუფრასთან. მერე ბოდიში მოვუხადე ყველას და ავდექი.

— მოდი, რა გაჩვენო? — ჰოლში შემომხვდა თამარი. თვალები ეშმაკურად უციმციმებდა. მის ოთახში გავედით. მაგიდაზე ფაიფურის ლამაზი ბალერინას ქანდაკება იდგა.

— ხომ კარგია, ლევან?

— დიდებულია! — ვთქვი აღტაცებულმა. — ვინ მოგიტანა?

— საკომისიო მაღაზიაში უყიდია დედას. იცი, ვისთვის?

— აბა რა ვიცი!

— რუთისთვის. ხვალ მე და შენ ხომ მივდივართ რუთისთან.

— მმმ! — წავიზმუილე და ქანდაკება მაგიდაზე დავდგი. ისევ მომეწამლა გუნება. ნოდარი გამახსენდა და მთლად ძაღლურ გუნებაზე დავდექი. დედა სამზარეულოში შევიდა და მეც შევყევი.

— რა იყო, ლევან? — შემომხედა დედამ. — რაღაც ვერა ხარ გუნებაზე. ძალიან დაიღალე?

გარეცხილი ხილი სინით სუფრაზე გაიტანა. მე ჰოლში გამოვედი და სავარძელში ჩავჯექი. ჟურნალგაზეთების მაგიდაზე ტელეფონის გვერდით პორტფელი „დიპლომატი" იდო. აკადემიკოსის ნომერი ავკრიფე. ყურმილი ნიკის დედამ აიღო.

— თინა დეიდა, მე ვარ, ლევანი. როგორ ბრძანდებით?

— კარგად, შვილო, მადლობელი ვარ. შენ როგორ ხარ, გენაცვალე?

— კარგად. თინა დეიდა, ნიკი შინაა?

— კი, დედა, ახლავე დავუძახებ.

ნიკის მოლოდინში „დიპლომატი" ჩემკენ მოვწიე და საკეტებს თითი დავაჭირე. ტკაცუნით გაიხსნა და სახურავიც ავტომატურად აიხადა. პორტფელი ვახტანგ ბიძიასი იყო. მასში რაღაც ხელნაწერები იდო, მათ



გვერდით კი — ასიანებისა და თუმნიანების დასტა. ფულს შავი რეზინის წვრილი რგოლები ჰქონდა შემოჭერილი. ყურებმა ბზუილი დამიწყო. გული ისე ამიძგერდა, მკერდს გამოგლეჯს-მეთქი, ვიფიქრე. პორტფელი დავხურე.

— ჰო, ლევ, გისმენ! — გაისმა ყურმილში.

— ნიკ, რა ქენით?

— ვიყიდეთ. იცი, რა კარგი რამეა? გაგიჟდები. — ნიკი აღტაცებული იყო. — იქვე ჩავაბარეთ წასაწერად.

— მერე, ფული გქონდათ?!

— შევაგროვეთ. რას შვრები?

— არაფერს. რაღაც თავი მტკივა და უნდა დავწვე. ჩაო!

— ჩაო!

ყურმილი დავდე და გავიტრუნე. ერთხანს ასე ვიყავი. მერე უცებ მივიხედ-მოვიხედე, პორტფელი სწრაფად გავხსენი და დასტიდან ორი ასიანი გამოვაძვრე, ჯიბეში ჩავიკუჭე, ჩანთა დავკეტე და წამოვვარდი. გული ამოვარდნაზე მქონდა, მუხლები და ხელები მიკანკალებდა. ჩემს ოთახში შევვარდი. სარკეში ჩემს გამოსა-

ხულებას მოვკარი თვალი. მეუცხოვა. თვალი ავარიდე და ბინიდან ქურდივით მალულად გავიძურწე, კიბეზე კისრისტეხით დავეშვი და სულმოუთქმელად მივვარდი ნოდართან. კარი ნოდარმა გამიღო და გაკვირვებით მომაშტერდა.

— ერთ წუთს გამოდი!

— რა იყო, ტო? — კარი მოიხურა.

— აჰა, შენი ფული! — ზიზღით ვუთხარი და ხელში ჩავუკუჭე.

— ასე სწრაფად როგორ მოახერხე, ტო? — თვალები გაუბრწყინდა. — გმადლობ, ტო. რა ხათაბალას გადამარჩინე! ტობე ვინმე ხარ!

მაშინვე გამოვტრიალდი და ისევ უჩუმრად დავბრუნდი სახლში. მერე სუფრასთან გამოვედი. მამაჩემი და სოსო ვიღაც თავიანთ თანამშრომელზე ლაპარაკობდნენ. ვახტანგ ბიძია და დედაჩემი კი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

— გუჯამ ფული გამომატანა. თვის ბოლოს მანქანას მაძლევენ. მე ჯერ არ მჭირდება, ამიტომ შევპირდი, გამოგიყვან-მეთქი, — თქვა ვახტანგ ბიძიამ. — მანქანა ჩემგან საჩუქრადაც ეკუთვნის.

გუჯა და დედაჩემი გარე ბიძაშვილები არიან, მაგრამ ძალიან უყვართ ერთმანეთი. გუჯა ბიძაჩემის ტოლია, ერთად გაიზარდნენ, ინსტიტუტიც ერთად დაამთავრეს. გუჯა თავის სოფელში დაბრუნდა და იქ მუშაობს საავადმყოფოს მთავარ ექიმად. ბებიას და ბაბუას გარდაცვალების შემდეგ ბიძაჩემის ოჯახს ის უვლის.

მეტს ვეღარ გავუძელი. ავდექი, ვახტანგ ბიძიას დავემშვიდობე და დავწექი.

8

ისევ ქარხნის შესასვლელთან შევგროვდით მთელი კლასი. საამქროში რომ მივედი, ბიჭები უკვე მუშაობდნენ. ზურაბი გათბობის მილებს ადუღებდა. მივესალმე და ვკითხე, რაში მოგეხმარო-მეთქი.

— ოღონდაც ეს ოხრობა მომაშორე და, შენი არაფერი მინდა! — ძველ, დაჟანგულ, მოკლე-მოკლედ დაჭრილ მილებს ფეხი წაჰკრა.

— ეს პლასტიკატებიც ხომ არ მივაყოლო?

— მაგას თუ იზამ, რა სჯობია!

ვმუშაობდი, მაგრამ ერთთავად წუხანდელ ამბებზე ვფიქრობდი. ვერ წარმომედგინა, თუ ასეთი ნაძირალა ვიყავი. საკუთარ ბიძას სხვისი ფული მოვპარე... ღმერთო, ეს რა ვქენი! მაინც რა ეშმაკმა გადამკიდა ის იდიოტი. როგორ გაოცდება ვახტანგ ბიძია... ალბათ გუჯას დააბრალებს, იმას მაინც იფიქრებს, შეეშალაო. აბა, აზრად როგორ მოუვა, საკუთარი დის სახლში გაქურდავდნენ ფიქრებიდან ზურაბის ხმამ გამომიყვანა. გეძახიანო, მითხრა. ვაგონიდან გადავიხედე. ვაგონის კიბესთან რუთი და ვიღაც თეთრხალათიანი ქალიშვილი იდგნენ. კიბესთან მივედი, ის იყო, დაბლა უნდა ჩავსულიყავი, რუთიმ შემაჩერა.

დასასრული შემდეგ ნომერში



პამიდვრის კვლებს კარგად უვლიან ოლია ყარალაშვილი, მამუკა და თომა ჯიგლაშვილები.

# «იმედი-85» დიდი რთველის მოლოდინში

## აი, როგორ დაიწყო

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

თ. ცაგარელის ფოტოები

ვინც არ უნდა ესტუმროს სიღნაღის რაიონის საქობოს საშუალო სკოლას, შის ყურადღებას უთუოდ მიიქცევს ფართო დერეფანში ყველაზე თვალსა-





მეურნეობა „იმედი-85“-ის დირექტორი პაატა ჯანხოთელი მუშაობის დაწყებამდე დავალებებს ანაწილებს.

ჩინო ადგილას გამოკრული, ლამაზი ასოებით ნაწერი:

„ცნობის ფურცელი“.

— სკოლა-მეურნეობა „იმედი-85-ის“ ძალებით უნდა დამუშავდეს 35 ჰექტარი ვენახი (ჩვენი ნაკვეთის ჩათვლით);

— უნდა შევასრულოთ ვენახის ფურჩვნა, თოხნა;

— საშუალოდ ერთ ჰექტარზე უნდა მოვიწიოთ 70 ცენტნერი ყურძენი;

— თითოეულმა დღეში უნდა გათოხნოს სამი რიგი, გაფურჩნოს 4-5 რიგი;

— ერთი რიგის ღირებულება: თოხნა — 1 მანეთამდე;

— ფურჩვნა ერთი რიგი — 1 მან.

— ნორმა ღირს 3 მან. 95 კაპ.

სკოლა-მეურნეობა „იმედი-85“-ის გამგეობა“.

ასეთი მეურნეობა მართლაც არსებობს კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში საქობოში. ამ სკოლა-მეურნეობას სახელი პიონერ-მოსწავლეებმა შეურჩიეს. თუმცა ჯობს



— ვაზს როგორც მოუვლი, ამაგსაც ისე დაგიფასებს, — ეუბნება ნორჩ მევენახეებს ბრიგადირი გიორგი ბანანაშვილი.

თუ გართობაა, ყველა ერთად იყრის თავს და ჩაღდება ცეკვათამაში.

დაწვრილებით მოგიყვეთ, როგორ მოხდა ეს.

წლეულს, ვიდრე გაზაფხულდებოდა, საქობოელმა პიონერ-მოსწავლეებმა გაიგეს, რომ ახალ სასკოლო რეფორმასთან დაკავშირებით საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის საშუალო სკოლის მოსწავლეებს თავიანთი მევენახეობის მეურნეობა შეუქმნიათ, აურჩევიათ გამგეობა, დირექტორიც ჰყავთ და ბუღალტერიც, მანავის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს ვაზის მოვლა-პატრონობაში ეხმარებიანო.

საქობოელ პიონერ-მოსწავლეთა უმრავლესობას გაუჩნდა სურვილი მათაც ჰქონოდათ ასეთი მეურნეობა.

წინ რაღა დაუდგებოდათ. რამდენიმეკაციანი დელეგაცია საგარეჯოს რაიონში გაემგზავრა. მანაველმა პიონერ-მოსწავლეებმა ისინი სიხარულით მიიღეს. გააცნეს სკოლა-მეურნეობის გეგმები, დაათვალიერებინეს გაპიროვნებული ვენახი. მათ თქვეს, რომ შრომის მეურნეობრივი ფორმა, რომელიც შემოიღეს და სადაც ყველა პროცესს მოსწავლეები უძღვებიან, უფრო საინტერესო და მიმზიდველია.

1984 წლის 14 აპრილი. საქობოს საშუალო სკოლაში საერთო კრებაა. კრების მონაწილეები სულგანაბული ისმენენ მანავიდან დაბრუნებულ თანატოლთა საუბარს, მათ შთაბეჭდილებებს.

იმავე კრებამ ერთხმად გადაწყვიტა და შეიქმნა მეურნეობა. აირჩიეს გამგეობა. მის შემადგენლობაში შევიდნენ მე-6, მე-7, მე-8, მე-9 კლასების მოსწავლეები:

ჯანხოთელი პაატა — მეურნეობის დირექტორი;

ბაკაშვილი ანა — დირექტორის მოადგილე;

სესიტაშვილი ზურაბ — ბუღალტერი;

ბეჟაშვილი ანა — კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე;

ბრიგადირები; ნინო ჯიბღაშვილი, ზაზა პაპუაშვილი, შალვა სპანდერაშვილი, ეკა თათარაშვილი და დიმიტრი სპანდერაშვილი.

მეურნეობის დირექტორი პასუხს აგებს მეურნეობის საქმეებზე, იგი აირჩიეს ერთი წლის ვადით და დაავალეს უხელმძღვანელოს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადას, გაანაწილოს სამუშაო, დავალებები მისცეს დირექტორის მოადგილეს, ბუღალტერს, ბრიგადირებს და სხვ. წლის ბოლოს კი ანგარიში ჩააბაროს საერთო კრებას.

მეურნეობის თითოეულ წევრს აქვს შრომის წიგნაკი, სადაც მკაცრად, მთელი სიზუსტით იწერება შრომადღეები, გაცდენები, მეურნეობის წევრის მიერ გამომუშავებული თანხის რაოდენობა.

რაც მთავარია, სკოლა-მეურნეობამ ხელშეკრულება გააფორმა შეფ ორგანიზაციასთან — წნორის მეხორცეობა-მეძროხეობის საცდელი კომპლექსის დირექციასთან, რომლის დახმარებითაც მოსავლელად მიიღო ხუთი ჰექტარი ვენახი. ამ ვენახში სკოლა-მეურნეობა ჩაატარებდა მთელ სამუშაოებს — სხვლიდან დაწყებული ყურძნის მოსავლის აღებამდე, ხოლო კომპლექსის 30 ჰექტარ ვენახში საჭიროების მიხედვით მიეხმარებოდა. გაპიროვნებული ნაკვეთის თითოეული ჰექტარიდან 7 ტონის ნაცვლად მოიწევდა 8 ტონა ყურძენს, გამოიმუშავებდა 4000-მდე მანეთს. ამ თანხას თუ მივუმატებთ წლეულს მოსწავლეთა მიერ მოვლილი 35 გრამი აბრეშუმის ჭიიდან მიღებულ შემოსავალს, 10 ათას მანეთზე მეტს მივიღებთ. ეს ფული შემნახველ სალაროში მოსწავლეთა ანგარიშზე ირიცხება. 20 პროცენტს სკოლა გამოიყენებს, დანარჩენი მეურნეობის წევრებზე განაწილდება შრომისდა მიხედვით. შარშან, ვიდრე მეურნეობა შეიქმნებოდა, საქობოელმა პიონერ-მოსწავლეებმა მესამე შრომით სემესტრში 4 ათას მანეთამდე გამოიმუშავეს. ზაურ სესიტაშვილმა 120 მანეთი გასამრჯელო მიიღო, გია კაკაშვილმა 97 მანეთი და ასე შემდეგ.

## ქებას ნახვა სჯობს

სკოლა-მეურნეობის გამგეობას ცალკე სათათბირო ოთახი აქვს გამოყოფილი. კარადაში ოქმები, უწყისები, საბუღალტრო საბუთები, წევრთა განცხადებებია შენახული. ყოველდღე, ვიდრე ყმაწვილები ვენახში სამუშაოდ გაემგზავრებიან, დირექტორი გამგეობის წევრებთან თათბირობს, ავალებს, რომელმა ბრიგადამ რა სამუშაო შეასრულოს.

გარეთ კი, სკოლის ეზოში, გოგობიჭები იცდიან, ავტობუსებს ელიან. აგერ - ორი ავტობუსი ჩამოდგა, ყველა შიგ მოთავსდა, მეც, ამ სტრიქონების ავტორი, ბავშვებთან ერთად ვარ. მინდა ვნახო, მაინც რას აკეთებენ, როგორ მუშაობენ ვენახში. ხომ გაგიგონიათ, ქებას ნახვა სჯობსო.

დაიძრნენ ავტობუსები. გავიარეთ ქალაქი წნორი, მივქრით ალაზნის ველისაკენ, გადავჭერით არხი. ვიარეთ მანამ, სანამ ვენახებში არ მიგვიყვანა გზამ. ერთგან, შემაღლებულ ადგილზე ნაცრისფერ ფირნიშს მოვკარი თვალი. „იმედი-85“ — გვაუწყებდა წარწერა.

— აქ არის ჩვენი ვენახი! — თქვეს ყმაწვილებმა.

ავტობუსები უცბად დაიცალა.

ბრიგადირებს თქმა არც უნდათ, ყველა თავ-თავის რიგში დგება. იწყება მწვანე ოპერაცია: ვაზის ფურჩვნა. დარიგება არ სჭირდებათ, თითოეული გამოცდილ მევენახესავით მუშაობს, ყველამ იცის, რაც უნდა გააკეთოს: ვაზს უნაყოფო ლერწს და ზედმეტ ფოთოლს აცლიან და მტევანს მეტი ჰაერი, მეტი მზის შუქი ეძლევა, კარგად ხვდება შეფრქვეული წამალი, ვერც ჭრაქი აკლებს რამეს და ვერც ნაცარი.

დავდივარ რიგთაშორისებში და მიხარია, რომ ვაზი მართლაც შესანიშნავად არის მოვლილი. ერთ სარეველას ვერ იპოვით, ისეა გამოთოხნილი, საიმედოდ მიკრულია მავთულზე და ცა გახსნილი აქვს. მწვანედ გამოხორბლილი მტევნები ნიავის წამოქროლაზე ნანაობენ.

ნორჩ მევენახეებს ნინო ჯიბღაშვილს, ბესიკ მიკირტიჩიანს, მაია სარალიძეს და სხვებს შეჯიბრება გაუმართავთ, ვინ უკეთესად და უფრო მალე გაფურჩნის თავის ნორჩ ვაზსო.

— მე ვიცი, ვინც გაიმარჯვებს, — მომესმა ხმა. ეს — ყმაწვილების დიდი მეგობარი, მათი მრჩეველი და დამრიგებელი, კომპლექსის ბრიგადირი გიორგი ბანანაშვილი მოსულიყო შეუმჩნევლად.

— ვინა, გიორგი ძია, ვინა? — ახმაურდნენ ნორჩი მევენახეები.

— ჯერ საიდუმლოა, მერე გეტყვით, — თქვა სიცილით და მე მომიბრუნდა: — შარშან ჩვენს რაიონში ჩემმა და ომარ ელიზბარაშვილის ბრიგადებმა მიიღეს ყველაზე მეტი ყურძნის მოსავალი. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ესენი გვეხმარებოდნენ ვაზის მოვლა-პატრონობაში.

— წლეულს?

ბრიგადირმა მზით გაბრწყინებულ ცას გახედა.

— წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან. ისე, ცუდი პირი არ უჩანს ჩვენს ვენახს, — თქვა და წავიდა.

## გრიგალი

სულ 15-20 წუთი იქროლა სიღნაღის რაიონში ძლიერმა ქარმა, ქარმა კი არა, გრიგალმა. ამისთანა რამე უხუცეს ადამიანებსაც არ ახსოვთ. წააქცია უზარმაზარი ხეები, სახლებს სახურავი ქუდივით მოაძრო, დაწყვიტა ელსადენები, მიწასთან გაასწორა ნათესები. ვენახს რა ხეირის დააყრიდა. ალაზნის ველზე დათარეშობდა ტიალი, გაანახევრა ხრიალში შესული მტევნები, ვაზი მავთულებიდან აგლიჯა, ბოძები წააქცია.

საღამო იყო და გარეთ ვინ გამოვიდოდა. იმ ღამეს ძილი გაკრთომოდათ ყმაწვილებს. გათენდა თუ არა,

ყველა სკოლას მიაწყდა, თავიანთი ვენახის ნახვას ჩქარობდნენ, გრიგალი მასაც აუტეხდა რაღაცას, იცოდნენ. ვაზს შველა უნდოდა და ბავშვებს თან შესაყელი კანაფი თუ სიმინდის ფუჩეჩი, სასხლავი, მაკრატელი, თოხი და ვინ იცის, რა არ წამოეღოთ. მოვიდნენ ავტობუსები და ვენახში გასწიეს. იქ კომპლექსის მევენახე-აგრონომი ტელმან სპანდერაშვილი და გიორგი ძია დახვ-

მევენახეებმა სხვა ნაკვეთებს მიაშურეს, უფროსებს მხარში ამოუდგნენ დასახმარებლად.

## რას არ ნახავთ იქ!..

სკოლა-მეურნეობა „იმედი-85-ის" წევრები სამუშაოდ დილის 8 საათზე მიდიან. ვიდრე მზე თაკარას დაანთებს, გრილზე 3-4 საათს წაიმუშავებენ ვენახში. მერე ისევ სკოლაში ბრუნდებიან. სკოლის სასადილოში უფასოდ სადილობენ. კერძებს დიდი გემოვნებით ამზადებენ მზარეულები ნათელა და ციცინო სესიტაშვილები.

ერთ დღეს, ვენახიდან რომ დაბრუნდნენ, მზარეულებს სასკოლო ნაკვეთში მოკრეფილი მწვანე ლობიო მოეხარშათ და ერბოთი და კვერცხით შეენელებინათ. ამისთანა გემრიელი ლობიო არ გვიჭამია, — ხმამაღლა ამბობდნენ ბავშვები.

— ეგ იმიტომ, რომ თქვენმა მარჯვენამ მოიყვანაო, — მიუგეს მზარეულებმა.

ნაკვეთს, რომელსაც პიონერთა და ოქტომბრელთა ბრიგადა უვლის, სკოლის ეზოში დიდი ადგილი უჭირავს. რას არ ნახავთ იქ! ნაკვეთში ბიოლოგიის მასწავლებელი იზა ბეგიაშვილი და ნორჩი მებაღეები აჩიკო კაკაშვილი, ფორე მჭედლიშვილი, ლამარა ჯოხარიძე, დიმიტრი ჯიბღაშვილი შეგვიძღვნენ. აი, რა თესია იქ: ლობიო და კარტოფილი, ხახვი და ნიორი, კიტრი და პამიდორი, ისპანახი, სალათა, ნესვი და საზამთრო. ცალკე ნაკვეთები გამოუყვიათ ცოცხისა და მიწის თხილის — არაქისისათვის, აქვთ თავიანთი თუთის სანერგე. თუთა დაუთესიათ ღია კვლებში და საამურად ამოხუჩხუჩებულა. ცოტა რომ



დათ. ცხვირ-პირი ჩამოსტიროდათ. გრიგალმა ჩვენც დაგვაზარალაო, მოიჩივლეს. ყველა თავის რიგებს მიაწყდა. ვაზი გართხმულიყო, ბოძებიც ძირს ეყარა. გოგონებს ბიჭები მიეხმარნენ, პირველ რიგში ბოძები გაამაგრეს, მავთულები დაჭიმეს, მერე ვაზის შეყელვას მიჰყვეს ხელი.

შუადღისას სამუშაო დამთავრდა. ვაზი ფეხზე იდგა, ისევ ძველი იერი დაჰკრავდა. ეგ კი იყო, გრიგალს ბევრი მტევანი და ლერწი გაეცალა.

— ნუ იდარდებთ, ხალხო, ვაზს იმდენი შერჩა, თუ რთვლობამდე კიდევ არაფერი დაგვემართა, მოსავლის გეგმას შევასრულებთ, — დაამედა ისინი ბრიგადირმა.

ერთს არ დასცდენია, შინ წავიდეთო. სკოლა-მეურნეობის ნორჩმა

რა არ უთესიათ ნაკვეთში! აქ მოკრეფილი ბოსტნეულით მარაგდება მეურნეობის სასადილო.



— იფ, რა გემრიელი ლობიო იყოო, — თქვეს ყმაწვილებმა. — ეგ იმიტომ, რომ თქვენი მოყვანილიაო, — მიუგეს მზარეულებმა.

მოიზრდება, ცალკე გადარგავენ, დაახლოებით ათას ხუთას ნერგს გამოიყვანენ, ზოგს სკოლის ნორჩი მეაბრეშუმეები გამოიყენებენ, ზოგსაც კომპლექსს აჩუქებენ.

ნაკვეთში მოყვანილი ბოსტნეულით სკოლის სასადილო მარაგდება, ამავე დროს მცენარეთა ზრდა-განვითარებას აკვირდებიან მოსწავლეები.

მეურნეობა „იმედი-85“-ს თავისი მელიორატორებიც ჰყავს. შარშან, ვენახს რომ გვალვაში გაუჭირდა, ისინი კომპლექსის მრწყველებს მიეხმარნენ, საამისო ცოდნა წნორში, გაერთიანება „რწყვაში“ მიიღეს, გაეცვნენ ალაზნის ველზე სამელიორაციო სამუშაოებს, ნიადაგის დამაწვიმებელ აგრეგატებსა და „ყუბანს“. თითო აგრეგატს ერთ შემოვლაზე შეუძლია სამოცი ჰექტარი მიწა მორწყას. მკაცრი გვალვის დროსაც კი მის ქვეშ მწვანედ ბიბინებს ნათესი ბალახები, ლაღად შრიალებს სიმინდი.

ძმებმა ზურაბ და ზაურ სესიტაშვილებმა, პაატა ჯანხოთელმა და სხვებმა შეისწავლეს, თუ როგორ ხდება მლაშობი ნიადაგის განმარილება. სინჯარებში მოათავსეს ნიადაგის ნიმუშები, დაწერეს საინტერესო თემები და სკოლაში წაიკითხეს. შარშან ისინი სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის მონაწილენი იყვნენ. დაჯილდოვდნენ მედლებითა და ფულადი პრემიებით. ნორჩი მელიორატორები კვლავაც იმაღლებენ ცოდნას.

## ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის

ხომ ხშირად გაგიგონიათ ეს სიტყვები?! აი, ამ სულისკვეთებით აკეთებენ საქმეს სკოლა-მეურნეობის წევრები. ერთად მუშაობენ; თუ გართობაა — ყველა ერთად მოიყრის თავს და ჩაღდება სპორტული თამაშები, ან მღერიან და ცეკვავენ. ამ დროს მათთან მევენახეებიც იკრიბებიან და ტკბებიან ყმაწვილების ცქერით.

ნანა ყარალაშვილი ჩონგურს ჩამოჰკრავს ხელს, ზაზა პაპალაშვილს დოლი რად უნდა, ვედროს შეაბრუნებს და გაისმის საცეკვაო ჰანგები. აბა, განიო, შესძახებს ვინმე და წრეში ჯერ გია ფხოველიშვილი შემოვა თამაშ-თამაშით, მერე მარინე ყარალაშვილი. იმათ ქეთინო აქუბარდია და ლია ჯოხარიძე შეენაცვლებიან. ცეკვას სიმღერები მოსდევს. „მუმლი და მუხასა“, „ვაზო, შვილივით ნაზარდო“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“ და ვინ მოსთვლის მათ სიმღერებს. ნიავს კიდით კიდემდე მიაქვს ხალისიანი ხმები...

ერთხელ, როცა ყმაწვილებმა ყელი სასიმღეროდ მოიღერეს, ვიღაცამ თქვა: მერვეკლასელი სოსო ალადაშვილი არ ჩანსო. ბავშვებმა ვენახები შემოირბინეს, ვერ იპოვნეს. დაუკითხავად არსად უნდა წასულიყო, მაშ რა იქნაო, შეშფოთდნენ. ვენახის თავში ალაზნის არხი გადის, ვაითუ საბანაოდ გაიპარაო. კიდევ კარგი, ერთმა მევენახემ დაამშვიდა: შვილო, ის ბიჭი ბიძამისმა მანქანით შინ წაიყვანაო. მართლაც, სოსო შინ აღმოჩნდა. თურმე თავისი ნორმა სამი რიგი ვაზი გაეთოხნა და ბიძას სოფელში გაჰყოლოდა. რა თქმა უნდა, ამხანაგებმა საღ-სალამათი რომ ნახეს, გაუხარდათ, საყვედური კი არ დააკლეს.

არ გეგონოთ, რომ მორჩა, — მთელი ზაფხული სკოლა-მეურნეობის წევრები სულ ყელამდე საქმეში იქნებიანო. არა, ვენახებში რთველობამდე მათი გასაკეთებელი თითქმის აღარაფერია. თუ რამე გამოჩნდა, კომპლექსის მევენახეებიც მოუვლიან. საქობოს საშუალო სკოლის მეურნეობა „იმედი-85“-ის წევრების ერთი ნაწილი პიონერთა ბანაკებში, ბავშვთა ,სანატორიუმებში ისვენებს, ზოგი ნათესავ-მეგობრებთან წასულა, იმათ კი, ვინც შინ დარჩა, მაინც არ ეთმობათ სასკოლო ნაკვეთი, თავიანთი ვენახი, დროდადრო ბრიგადირ გიორგი ძიას აეტორღიალებიან ვენახში. მივლენ, გულისფანცქალით დახედავენ ვაზს, ხელს შეავლებენ მტკაველ-მტკაველა დამკრახულ მტევნებს და თვალები სიამოვნებით გაუბრწყინდებათ; ერთი თვეც, ჰა, ცოტა მეტი და, რთველი დაიწყება, მათი შრომის დამფასებელი, დიდი იმედის რთველი. ამ რთველს მოუთმენლად მოელიან საქობოელი პიონერ-მოსწავლეები, მეურნეობა „იმედი-85“-ის წევრები.



საჭიდაო დასცხეს და ბიჭები ერთმანეთს შეერკინენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნ ო დ ა რ  შ ა მ ა ნ ა ძ ე

### ყველაზე ლამაზი

ერთი არის დედამიწა
და ქვეყანა ათასია;
ზოგ მხარეში ოქრო ჭარბობს,
ზოგან ბევრი ალმასია.
ზოგან მუდამ მზე ანათებს,
ეძახიან მხარეს მზიანს;
ზოგს კი ხშირად თოვლი ფარავს,
თეთრი კაბით ლამაზია.
ზოგს ამშვენებს ტრამალები
და ზოგს კიდევ მთაგრეხილი,
თავს იწონებს ზოგი პურით,
ზოგი ვაზით და ხეხილით.
ერთი არის დედამიწა
და ქვეყანა ათასია,
ყველა მხარე მისებურად
მდიდარი და ლამაზია.
მაგრამ სადაც დაიბადე,
გიმღეროდა დედა ნანას,
წინაპრების გულთა ზიარს, —
სამშობლოა ის ქვეყანა
და ყველაზე ლამაზია.

### ვადღეგრძელე

ნაომარი ჩემი პაპა
ვადღეგრძელე აი, ასე:
ფრონტზე სისხლი რომ დაღვარე
და ტკივილი გაიასე,
სიხარულად გექცა ახლა,
მშვიდობის მზე გახალისებს,
ბადიშები გაგიმრავლდა,
შვილიშვილებს ჯარად ისევ;
ჩემო პაპავ, სიბერის წლებს
გაგიტკბილებთ ბადაგისებრ.

### ახალი

ჩიტების გუნდი ახალი
ახალ შარაგზას დაჰხარის,
ლია ახალ გზას მიჰყვება,
კაბა ჩაუცვამს ახალი.
აქვს ხელში ახალი ჩანთა,
შიგ წიგნი უდევს ახალი;
პირველად მიდის სკოლაში,
ამ დღეს ელოდა რა ხანი!
რომ შეაბიჯა სკოლაში,
მოესმა კისკის-ხარხარი;
გაიცნო მასწავლებელი
და მეგობრები ახალი.

### ცაო, ცაო

ალალულა, ჩალალულა,
მზე მთის იქით დამალულა,
დაღლილა და ისვენებს;
ცა ღრუბლებით დაფარულა,
ტირის, თვალებს ისველებს.
ცაო, ცაო, ნუღარ ტირი,
ნუ იღვრები ცრემლებად,
აი, უკვე მზე წამოდგა,
ცის კარები ეღება
და სულ მალე გამოჩნდება
სხივთა ძნებად გაშლილი,
შუბლს შეგიკრავს ცისარტყელას
შვიდფეროვან არშიით.

### ბებიას უთვლის

ოთარმა მთელი ზაფხული
სოფლად გალია ისე,
ერთხელ არ გაუდენია
ძროხა მახლობელ მთისკენ,
ერთხელ არ შეცილებია
წყლის მოტანაში ბებიას,
არ უთოხნია ერთხელაც,
პაპას არ მიხმარებია.
უკვე ქალაქში ბრძანდება,
ბებიას უთვლის ასე:
— გამომიგზავნეთ კალათი,
ყურძნით და ყველით სავსე.

### უცნობი ჯარისკაცის საფლავი

უცნობ ჯარისკაცს ვესტუმრეთ,
რაზმი მივედით საფლავთან,
ლექსები ბევრი ვუთხარით,
ვუძღვენით ვარდის კალათაც,
ჩვენ რომ ვუმზერდით, უქრობ‌ეა
ცეცხლმა იმატა თანდათან.

### ერეკლე მეფის თოფი

მუზეუმში თოფი ვნახე,
უბრალო ხომ არ გგონიათ?!
მეფე ერეკლეს თოფია,
მისი ნაბრძოლ-ნაქონია,
თავდამსხმელებს აყრუებდა,
ისე დიდი ხმა ჰქონია;
თურმე ბევრჯერ მტერს არგუნა
სიკვდილი და აგონია.
ამისთანა კარგი თოფი
თუ გინახავთ, არ მგონია.

## მ ზ ი ა  ჩ ხ ე ტ ი ა ნ ი

### იმ ფერმკრთალ ბინდებს

სოფლის ორღობე შარაზე გადის
და დიდი გზისკენ ეშვება მერე.
აქ იდგა მთვარე ნამგალაც, ბადრიც
და ნათელს ჰფენდა ჩრდილდაკრულ ფერებს:
ვაშლის ხის ტოტებს,
ფოთლებს და ხორკლებს,
დაბლა — კოინდრით მოფენილ მიწას,
ბალღის თეთრ პერანგს — გაფენილს თოკზე
და იქვე, ქვევრთან, ჩამუხლულ ბიძას.
კედელზე ბიძის ფერმკრთალი ლანდი
დაქანაობდა და მლოცველს ჰგავდა,
შინ, კერის ცეცხლზე, ცხვებოდა მჭადი,
მიფიცხებული ღუღუნა ღადარს.
იდგა ოცნების სადაგი ბინდი,
ხსნიდა ბაბუა ზღაპრების ხურჯინს,
შინ აივნიდან ვარსკვლავებს თვლიდი
და გზისკენ გქონდა თვალები ლურჯი.
ვადმოივლიდა ვიღაცა ბოგირს,
აეეფდებოდა ჭიშკართან ძაღლი,
გაშლიდა დედა ლუნლულა ლოგინს
და თბილი იყო მშობელი სახლი.
დღეს თუ უმადლი იმ ფერმკრთალ ბინდებს,
ვიწრო ორღობით დიდ გზაზე ქროლას,
პირველ ოცნებებს და ბეწვის ხიდებს
და ღელის გაღმა მტრედისფერ სკოლას?



# მუდმივი სიჭაბუკის საიდუმლო

**დინარა ნოდია**
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, პროფესორი

გრიგალივით შემოიჭრება ხოლმე იგი ყოველ დილით ფერწერის კათედრის ღია კარში და იწყებს ახალი ამბების მოყოლას, ხმამაღლა, საინტერესოდ. მოუთმენლად მოველით ხოლმე მის გამოჩენას. გამოჩნდება და ოთახში თითქოს სუფთა ჰაერის ნაკადი შემოიყოლაო, მაშინვე ყველა გამოცოცხლდება, იწყება კამათი, მხიარულება, მახვილსიტყვაობა. არანაკლები ინტერესით ელიან ედუარდ ამბოკაძეს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის მასწავლებელს, სტუდენტები, რომლებსაც უყვართ თავიანთი პედაგოგი, რომლებიც მეგობრობენ მასთან, გულისყურით ეკიდებიან ყოველ მის შენიშვნას, რჩევას.

არავის ისე არ შეუძლია დაიცვას „ოქროს წონასწორობა“ ახალგაზრდობასთან ურთიერთობაში, რომელსაც ყოველთვის ახლავს პატივისცემა და სრული ნდობა, როგორც ამას ედუარდი აკეთებს.

ახალგაზრდობასთან ეს მეგობრობა დიდი ხნის წინათ, 1961 წლიდან დაიწყო, როდესაც ედუარდ ამბოკაძემ სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მოსამზადებელ კურსებზე დაიწყო მუშაობა მასწავლებლად და თითქმის თავის თანატოლებს ასწავლიდა. სწორედ მაშინ მიიღო მან პირველი „საბრძოლო ნათლობა“, პირველი სარედაქციო შეკვეთა ჟურნალ „პიონერში“, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი კეთილი ტრადიციით, დაეხმაროს ახალგაზრდა მხატვრებს, კეთილმოსურნე მეგზურობა გაუწიოს შემოქმედებით ცხოვრებაში.

ამ ხნიდან ედუარდ ამბოკაძე საბავშვო წიგნის პოპულარული მხატვარი ხდება. იგი ბევრს ხატავს „დილისთვის“, „პიონერისთვის“, გამომცემლობა „ნაკადულისთვის“. ხატავს დიდი გატაცებით და მონდომებით, რადგანაც კარგად ესმის, რომ ბავშვებისათვის მუშაობა ყველაზე პასუხსაგები და მნიშვნელოვანი საქმეა. საბავშვო წიგნის მხატვარი ხომ ის ჯადოქარია, რომელსაც პირველს შეჰყავს ბავშვი ფანტასტიკის, ზღაპრის სამყაროში, ქმნის დაუვიწყარ სახეებს, უძღვნის ბავშვებს იმ მშვენიერსა და არაჩვეულებრივს, რაც ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვება თან. მხატვრის კეთილი, ცოცხალი, მხიარული, ტემპერამენტიანი ხასიათი საუკეთესოდ ჩანს მის მიერ არჩეული შემოქმედების სახეობაში.

ბავშვებისათვის შექმნილ მის ნამუშევრებში იმდენი მოძრაობა, დინამიკა, მახვილგონიერება და თამაშია, რომ ისინი ერთგვარად მისი მჩქეფარე და ექსპრესიული ნატურის გაგრძელებას წარმოადგენენ. უყურებ მის ნამუშევრებს და ასე გგონია, თითქოს იგი აქვეა, ჟურნალ „დილის“ ყდის გმირების — პატარა მეზღვაურების გვერდით, თავიანთი გემით ზღვის ლურჯ სივრცეს რომ სერავენ.

იმავე ჟურნალის სხვა ნომრის გარეკანისთვის გამომგონებლობისა და ფანტაზიის უშრეტი ნიჭით ალსავსე მხატვარს „მხიარული ზაფ-



ზამთარი



ქართული ხალხური ზღაპრის „მელია და დათვის“ ილუსტრაცია.



გივი ჭიჭინაძის პიესა „ცრუმზისას“ ილუსტრაცია.

ხულის“ საინტერესო კომპოზიცია შეუქმნია — უზარმაზარი მზით განათებული მეთევზეები მდინარეში შესული კამეჩების ზურგზე დგანან და ისე თევზაობენ. მხატვარი უმღერის სიყმაწვილეს, ბავშვობას, უღრუბლო ბედნიერების ხანას, მხიარულებისა და იმედების ხანას.



გემი „ცეროდენა“

რამდენი ხალისია კ. გოგიაშვილის წიგნში „ფეხბურთი“, რომლის სასაცილო, გონიერი და მოხერხებული გმირები სამუდამოდ შეიყვარეს ბავშვებმა. მსუბუქად და თავისუფლად ხატავს მხატვარი წითურ, კუდფუმფულა მელაკუდას, მხიარულ სცენებს, ცოცხალ დინამიკურ კომპოზიციებს.

ედუარდ ამბოკაძის მიერ შესრულებულმა სამმა გოჭმა კი ახალი პორტრეტული იერ-სახე მიიღო, მათ სახლებიც ახლები, მხატვრის მიერ მოგონილები გამოუჩნდათ.

პეტკიავიჩუსის წიგნში „პატარა რკოს თავგადასავალი“ მხატვრის ფანტაზიამ საინტერესო მასშტაბური ურთიერთობები შექმნა ციცქნა რკოსა და მაღალფეხება ყანჩას შორის. საინტერესოდ მოდულირებული ბალახის ფონზე თამაშდება რთული სცენები — მხიარულები და სევდიანები...

ედუარდ ამბოკაძემ სახეთა მთელი გალერეა შექმნა, მათ შორის — კეთილი იუმორით გამთბარი ილიკოს, ილარიონისა და ზურიკელას სახეები. ეროვნული კოლორიტი სოფლის, მისი ეთნოგრაფიისა და ზნე-ჩვეულების ზუსტი ასახვა ცოცხლად წარმოგვისახავს მწერლის მიერ მოგონილ სამყაროს, ღრმად წვდება მის ჩანაფიქრს. გოგონას მომხიბლავ სახეს დ. ვადაჭკორიას წიგნიდან „კენკრა ტკბილია“, ფერადი გუაშის ტექნიკით რომ არის შესრულებული, ყვავილების და პატარა ფერადი ჩიტების გარშემო მოფარფატე ფოთლების შარავანდედი მოსავს.

მხატვარს შეუძლია იყოს სერიოზულიც, ის კი არა, დრამატულიც. გავიხსენოთ ედუარდ ამბოკაძის დიდი ტილოები, სადაც იგი ფერმწერად წარმოგვიდგება — „მესაზღვრეები“ „სამი თაობა“... ჩვენ აქ მხატვრის ნიჭის ახალ წახნაგს ვხედავთ. თავშეკავებული კოლორიტი, ლაღი წერა, შეკრული, კომპაქტური კომპოზიცია, განზოგადებული აზროვნების უნარი მჟღავნდება მათში და ისინი დიდი მხატვრული



„ცრუმზისას“ ილუსტრაცია

სახის შემქმნელ მხატვარს, დასრულებულ ოსტატს წარმოგვიდგენენ.

სატელევიზიო გადაცემებში „ჯადოსნური საღებავები“, რომლებსაც წლების განმავლობაში უძღვებოდა ე. ამბოკაძე, იგი ბავშვებისათვის განკუთვნილ გაკვეთილებზე ლაღად და საინტერესოდ ესაუბრებოდა პატარებს ყველაზე სერიოზულსა და ამაღლებულ საგანზე — ხელოვნებაზე, უნერგავდა მის სიყვარულს, ასწავლიდა შრომას, უზიარებდა ხელოვნებით საკუთარ გატაცებას.

დღეს ედუარდ ამბოკაძეს 50 წელი შეუსრულდა, მაგრამ იგი ძველებურად ახალგაზრდაა.

რაში მდგომარეობს მისი ახალგაზრდობის საიდუმლო?

ვფიქრობ, ცხოვრებისადმი ვაუნელებელ ინტერესში, ხელოვნების უსაზღვრო სიყვარულში, ქვეყნად ყველაზე უფრო მშვენიერი რამის —ბავშვების სიყვარულში.

◀გრემი



სოფელი წინარეხი



**ნათელა ფაილოძე**

მხატვარი გივი პატრიაშვილი



# ბალალაიკა

მოთხრობა

ერთ სამსართულიან შენობასთან ხშირად ვჩერდები. თვალები მეორე სართულის განაპირა ფანჯრისკენ გამირბის... ფანჯრის მინებს იქით ბავშვებით სავსე ოთახს რომ ვხედავ, ყურს შორეთიდან წამოსული სიმების წკრიალი სწვდება...

მე ვერცხლის ქუჩაზე ვცხოვრობ, ის შენობაც იქვეა, ორ ნაბიჯზე.

ეტყობა, იმ განიერ ფანჯარას არ აღებენ, გასანიავებლად კუთხეში პატარა სარკმელი რომ არის, ისაა მუდამ ღია. ფანჯრის მინაზე ცხვირმიჭყლეტილი ბავშვების მზერას ვიჭერ. ვგრძნობ, მცნობენ, თვალებით მიცინიან.

იმ ფანჯრიდან ამ ქუჩაზე ჩამსვლელს კი არა, მტკვრის სანაპირომდე ყველა სახლის სახურავს დაითვლის კაცი.

...ორმოცდაორში ბიჭები სულ აქეთ მოვრბოდით — ჩვენი სკოლის შენობაში ჰოსპიტალი იყო გახსნილი.

ზაფხული იდგა.

რა უნდა გვეკეთებინა?

ყველას ცეცხლის ხაზისკენ ეჭირა თვალი. მათ შორის — ჩვენც, ვერცხლისქუჩელ ბიჭებს. ერთ დღესაც ყველანი ფრონტის გზას დავადექით, თუმცა იქამდე მისვლა ვინ გვაცალა, მცხეთაში დაგვაკავეს.

როგორც იქნა, დავუძვერით და შინისკენ მოვუსვით.

თბილისს რომ მოვაღწიეთ, მაშინვე რიყეს მივაშურეთ. მტკვრის გრილმა ტალღებმა დაღლილობა დაგვავიწყა.

საღამოს უკვე ჰოსპიტალთან ვწრიალებდით. დაჭრილები მოეყვანათ. სანიტრები გადაყვანას ძლივს ასწრებდნენ.

ფიქრში გართულს ნაცნობი ხმა შემომესმა:

— ბიჭო, მოდი, შვილო, მომეშველე.

თინა დეიდა იყო. იგი ჩემს ეზოში ცხოვრობდა. მისი სამი ვაჟი და ძია ნიკოც ფრონტზე იყვნენ. ქალი შინ ვერ გაჩერდა და აქ დაიწყო მუშაობა სანიტრად.

ადგილიდან მოვწყდი, თინა დეიდას ხელებში ვეცი; უგერგილოდ, გამომივიდა, საკაცის ბოლო კინაღამ ხელიდან გავაგდებინე.

მეორე სანიტარმა ქალმა შეჰკივლა:

— დაჭრილი არ გადმოვარდეს, შვილო, ფრთხილად!

საკაცე შევაკავე, მაგრამ იქიდან ქსოვილის ნაჭერში შეფუთნილი რაღაცა გადმოვარდა და დაიწკრიალა.

თავშებინტულმა დაჭრილმა დაიგმინა.

საკაცე ძირს დავუშვით.

მერე ნიკაც მოგვეშველა. საკაცე ავწიეთ.

ჯარისკაცმა კვლავ დაიგმინა.

— ვინ იცის, საიდან მოაქვს, გვერდით დაუდე ეგ ფანდური, არ დაეკარგოს, — მითხრა თინა დეიდამ.

შეფუთნილი საკრავი ფანდური კი არა, ბალალაიკა იყო; მაგის მეტი რა მენახა. ავლაბარს იქით, ევაკუირებულ ტაგანროგელებს სახელდახელოდ აგებულ ქოხებში თითქმის ყველას ეკიდა საწოლთან. გარმონიც ჰქონდათ.

ბალალაიკა ავიღე და საკაცეზე ფრთხილად დავდე. დაჭრილი ჯარისკაცი მეორე სართულზე ავიყვანეთ, განაპირა ოთახში, ფანჯარასთან, თავისუფალ საწოლზე დავაწვინეთ.

მე და ნიკამ ჩვენი სკოლის დერეფანი ვერ ვიცანით. საკლასო ოთახების კარებზე ისევ იყო წარწერები: I, II, III, IV, V... აგერ ჩვენი კლასიც—VI... მაგრამ ის ჩვენი სკოლა მაინც არ იყო. თეთრ კედლებს, საკლასო ოთახებს, კიბესა და დერეფნებს შუბლი შეეკრათ. ისმოდა დაჭრილთა კვნესა... ზოგს ფეხი ჰქონდა შეხვეული, ზოგს მკლავი, ზოგს თავი, ზოგი ხელჯოხს ან ყავარჯენს ეყრდნობოდა, ზოგიც ასკინკილით დადიოდა, ზოგი კი თვალდახუჭული, საწოლზე მიკრული ხმამაღლა ბოდავდა:

— წინ, წინ! შეტევაზე!

— სამშობლოსათვის, სტალინისათვის!

— ურაა! ურაა!

მე და ნიკამ სამივე დერეფანი შემოვირბინეთ და კვლავ ჩვენს დაჭრილთან გავჩნდით. საკაცე ისევ მის საწოლთან იდო. დაჭრილი საოპერაციოში უნდა გადაეყვანათ.

ფეხზე მოსიარულე თავშეხვეული ჯარისკაცი საკაცისაკენ დაიხარა, ბალალაიკას დასწვდა. საკრავს ყელზე ბინტი ბაფთასავით გაუნასკვა და რკინის საწოლის წვეტიან თავზე ჩამოკიდა.

დაჭრილები კვლავ მოჰყავდათ და მოჰყავდათ.

ჰო, იმას ვყვებოდი, ზაფხული იდგა, რა უნდა გვეკეთებინა! ბიჭები მტკვარში დღეში სამჯერ ვბანაობდით. მდინარიდან ამოსულნი ჰოსპიტლისაკენ გამოვრბოდით, სანიტრებს თვალებში შევციცინებდით, იქნებ კვლავ წამოსცდეთ — საკაცეს ხელი წაავლეთ, მოგვეშველეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატვრად გვქონდა გადაქცეული ყოფილ სკოლაში შეღწევა. ჰოსპიტალთან გვიან ღამემდე დავბორიალობდით. დაჭრილები უფრო ამ დროს მოჰყავდათ.

თინა დეიდასაგან გავიგე: იმ დაჭრილს, „ჩემსას“ რომ ვეძახდი, სერგეი რქმევია, მისთვის იმ ღამეს ცალი ფეხი მუხლთან მოუკვეთიათ.

გულით მინდოდა მისი ნახვა, მაგრამ იქ მე ვინ შემიშვებდა?

— როგორ არის სერგეი? — ვეკითხებოდი თინა დეიდას ყოველდღე.

— მძიმედაა, შვილო, — ამოიოხრებდა.



ერთ დღეს კი მომახარა, ცოტათი მოიკეთაო.

— ბალალაიკაზე არ უკრავს?

— დაკვრის თავი სადა აქვს, ბიჭო! თუ მოიხედა, ვნახოთ —

— შეიძლება ჩემი დაჭრილის სანახავად მოვიდე? — ვეკითხებოდი ხშირად.

— ჯერ არა...

ერთხელაც თინა დეიდამ თეთრი ხალათი მომახურა და ჰოსპიტალში შემიყვანა.

დაჭრილს ჩემი თავი გააცნო.

— კეთილი ბიჭია ბიჭი. მაგი მომეხმარა შენს აქ ამოყვანაში, აბა იმ კიბეზე ამხელა ვაჟკაცს მარტო ორი ქალი როგორ გზიდავდით?

ჯარისკაცს საოცრად კეთილი, ცისფერი თვალები ჰქონდა. უკან გადავარცხნილი ქერა თმა შვენოდა.

მან გამიღიმა და თვალები დახუჭა. ეტყობოდა, ჯერ სუსტად იყო.

ერთ დღესაც „ჩემმა დაჭრილმა“ ღიმილით მითხრა:

— მიდი, ბალალაიკა ჩამოხსენი.

მაშინვე საკრავს ვეცი.

— ბაბუაჩემისაა, მთელ როსტოვში ცნობილი ვიქტორ კოროლიოვისა. ქალაქი როსტოვი გაგიგონია?

— გამიგონია.

— ჰოდა, იქიდანა ვარ. გაგონილი გექნება კოროლიოვი, ავიაკონსტრუქტორი. ის ოდესიდანაა, მამაჩემის ბიძაშვილია. მე უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ასტრონომი უნდა გამოვსულიყავი, მაგრამ, ომი რომ დაიწყო, ფრონტზე წავედი. ჩემ ქალაქს მე თვითონ ვიცავდი. საკვირველი არ არის, რომ ბალალაიკა აქამდე ჩამომყვა?!

— არ დაგეკარგებოდა, ხომ აწერია: „სერგეი კოროლიოვი. როსტოვი“, — დაამშვიდა თინა დეიდამ.

— ჰო, ჩემი გვარი მთელ როსტოვშია ცნობილი. თურმე მთელი ჩემი წინაპრები კარგად უკრავდნენ ბალალაიკაზე. ეს საკრავი ბაბუამ მაჩუქა. იმასაც თურმე ბაბუამისმა აჩუქა დედის მხრიდან.

სერგეიმ სუსტად ჩამოჰკრა სიმებს...

...დღე დღეს მისდევდა.

დადგა აგვისტო.

თბილისის ბაზარში ხილმა იმატა, ვერცხლისჭურჩელ ბიჭებს კი ფული არ გვებადა. იმ ჰოსპიტალში კაცი ხელცარიელი ხომ ვერ მიხვიდოდი.

დედამ ნაჭრის აბგა შემიკერა. ბიჭები ამ აბგით ბაზარში ჩავრბოდით. იქ კახეთიდან, ქვემო ქართლიდან, გორიდან თუ ქარელიდან ჩამოსულთ ვთხოვდით ხილს დაჭრილებისათვის.

გლეხისათვის დაჭრილი ჯარისკაცი გეხსენებინა და, ხილს დაგიჭერდა? ის კი არა, ერთხელ მთელი კალათა გამოგვატანეს.

ხილი პირველად სერგეისთან მიმქონდა.

სექტემბერი რომ დადგა, ნიკა სოფელში წაიყვანეს. სოფლის სკოლაში განაგრძო სწავლა.

მე და სერგეი ერთმანეთს ძალიან შევეჩვიეთ.

მიამბო, როსტოვში ჩემი სახლი მიწასთან გასწორებული დამხვდა, რაღაც ბედად ეს ბალალაიკა გადარჩენილიყოო.

პატარა დაიკო გაიხსენა, ტანია: ხუთი წლისა იყო, ცოცხალი ვერ გადარჩებოდა. მამაჩემი ომამდე გარდაიცვალა. დედაჩემი ჯანმრთელი არ იყო, იმ ჯოჯოხეთს ისიც ვერ გაუძლებდაო.

ერთ დღეს თინა დეიდას უფროსი და შუათანა ბიჭების დაღუპვის ამბავი მოუვიდა...

ქალმა შავები ჩაიცვა. მალე ქმარზეც აცნობეს, დაიღუპაო.

მესამე ბიჭის დაჭრის ამბავიც რომ შეიტყო, იმ ჰოსპიტალს მიაშურა, სადაც დაჭრილი შვილი ეგულებოდა.

მისი ოთახის კარს დიდი ბოქლომი ედო.

სერგეიმაც მოიწყინა. მითხრა: დედასავით მიყვარდა, შენ და თინა დეიდას გარდა აქ ვინა მყავს ახლობელიო.

ნოემბერში სერგეი გაწერეს. სად უნდა წასულიყო ცალფეხა კაცი? ომი კვლავ მძვინვარებდა. არადა, ჩვენ ერთი ბეწო ოთახი გვქონდა, სადაც დედა და ოთხი და-ძმა ვცხოვრობდით. მამა ადრე გარდაიცვალა, არც მახსოვს.

— რა ვქნა ახლა? — თქვა სერგეიმ და შემომხედა.

შინ დაბრუნებულმა მუშტრის თვალით ვუტრიალე თინა დეიდას ოთახის კარს. ვიცოდი, თუ სერგეის ომის დამთავრებამდე შევიფარებდით, კეთილ ქალს არ ეწყინებოდა.

მყვირალა სანდრას, თინა დეიდას კარის მეზობელს, არ ესიამოვნა ჩემი განზრახვა.

ეს რომ ეზომ შეიტყო, სანდრას ენა მუცელში ჩააგდებინა. ისიც გეყოფა, ორფეხა და ორხელება არხეინად დასეირნობ, ამ ბავშვს სიკეთეზე ფიქრს თავიდანვე ნუ გადააჩვევო.

თინა დეიდას ოთახის კარს ბოქლომი მოვხსენით. სერგეი თავისი ბალალაიკით შიგნით შევიყვანეთ.

ყოველდღე, რიგრიგობით, მეზობლები საკუთარ ულუფას ვუნაწილებდით. შეშა თუ ქვანახშირიც საიდანღაც გავაჩინეთ მისთვის.

თინა დეიდამ იმ ჰოსპიტლამდე კი მიაღწია, სადაც მისი მესამე ვაჟი იწვა, მაგრამ მტრის ყუმბარამ ჰოსპიტალიც არ დაინდო და მგონი ყველა დაიღუპაო, — ჩამოიტანა ვიღაცამ ამბავი.

ამის გაგონებაზე სერგეის თვალებში ცრემლი შევნიშნე, მეც ვიტირე.

...ორმოცდასამში კიდევ უფრო გაჭირდა ცხოვრება. გაკვეთილების შემდეგ ქარხანაში გავრბოდი, დედას ვშველიდი.

სერგეის ჩემი უმცროსი და, თინიკო ართობდა. ჯარისკაცი მას ტანიას ეძახდა; ალბათ თავისი დაიკოს სიყვარულითო, — იცრემლებოდა დედაჩემი.

თინიკო ცნობისმოყვარე იყო. სულ ცისკენ იყურებოდა. რომ შეიტყო, სერგეი ასტრონომიით იყო გატაცებული, მათი კითხვა-პასუხიც მუდამ ცის მნათობების ირგვლივ ტრიალებდა.

— რა არის მზის სისტემა? რამდენი ვარსკვლავი და პლანეტაა? მთვარეც პლანეტაა? არ შეიძლება დედამიწაზე ჩამოვარდეს? — ეკითხებოდა თინიკო და სერგეიც დაწვრილებით უხსნიდა, ქაღალდზეც უხატავდა.

მთელ ეზოს ესმოდა თინა დეიდას ოთახიდან ასტრონომიის გაკვეთილები.

ქარხნიდან მოსული პირველად სერგეისთან შევირბენდი ხოლმე.

ერთ საღამოს, შინ მობრუნებულს, მეხი დამეცა: თინა დეიდას კარს ისევ ის ძველი ბოქლომი ედო...

— სად წავიდა სერგეი?

— თავის სამშობლოში წავიდა თქვენი ვარსკვლავთმრიცხველი, — გაიღიმეჭა სანდრა.

— დაგიბარა, ბაბუას ნაჩუქარია და შემინახოსო, — მითხრა მართა ბებიამ და ხელში ბალალაიკა შემომაჩეჩა.

ასე უეცრად რატომ წავიდა?

ლაპარაკი არ უნდა, სანდრას ბრალია. განა არ განიცდიდა სერგეი მის ბღვერას?

მოიწყინა ჩვენმა ეზომ.

არ ისმოდა დეიდა თინას ოთახიდან ასტრონომიის გაკვეთილები, არც ბალალაიკის სიმების წკრიალი... რა ხმაშეწყობილად ვმღეროდით მე და სერგეი „სულიკოს“, „კატიუშას“!..

ახლა კი ბალალაიკა დაჭრილივით ყელშეხვეული ეკიდა ჩემი საწოლის თავზე.

ორიოდე დღის შემდეგ სანდრამ იმ ოთახის მიერთება და ეზოს მხრიდან ყველა კარ-ფანჯრის ამოქოლვა დააპირა. მაშინ მარტო ეზო კი არა, ლამის მთელი ქუჩა მივარდა იმ კაცს. ისიც მიხვდა, რომ იქ არ ედგომებოდა და მალე ქალაქის მეორე უბანში გადაბარგდა.

თინა დეიდას ოთახი დედაჩემმა და მეზობლებმა დაალაგეს. თინა და მისი ქმარ-შვილი თუ არა, ის

ცალფეხა კაცი უკან რომ მობრუნდეს, ხომ უნდა თავშესაფარიო.

სამი თვის შემდეგ წერილი მოვიდა. კონვერტზე ეწერა: „საქართველო. თბილისი, ვერცხლის ქუჩა, ბიჩი მაღლაკელიძეს“.

სერგეისგან იყო.



მას როსტოვში ჩაეღწია: თავისიანები ვერ ეპოვა, თავშესაფარი კი მოენახა.

მწერდა, როსტოვის აღდგენა დაიწყესო; ცალფეხას ბევრი რა შემიძლია, მაგრამ მპირდებიან, საქმეს მოგინახავთო. ბალალაიკა შეინახე. დაუკარი ხოლმე ჩვენი საყვარელი სიმღერებიო.

...გავიდა წლები.

მე უკვე ბიჭის არავინ მეძახის. სერგო მაღლაკელიძე გახლავართ, ისტორიის მასწავლებელი. ჩემს ყოფილ სკოლაში მინდა სამუშაოდ გადასვლა. მიყვარს იგი, განსაკუთრებით — მეორე სართულზე განაპირა ოთახი; იქ სერგეი იწვა, იმ ოთახში თინა დეიდა უვლიდა დაჭრილ ჯარისკაცებს.

სერგეისაგან ერთხანს ვიღებდი ბარათებს, მერე შეწყდა. ალბათ დავავიწყდი-მეთქი, ვიფიქრე.

ბალალაიკა კვლავ ჩემს საწოლ ოთახში ეკიდა.

ერთ საღამოს კარზე დააკაკუნეს.

კარი გავაღე.

ჩემს წინ გოგონა იდგა, ლურჯი ბაბთები ეკეთა და საოცრად ნაცნობი ცისფერი თვალები ჰქონდა. სხვა გოგონებიც ახლდნენ.

— ჩვენი სტუმარია, ტანია კოროლიოვა. თქვენი ნახვა სურს, — ამიხსნეს მათ.

— კოროლიოვა? ტანია კოროლიოვა? ის ხომ ახლა ორმოცი წლის იქნებოდა.

— ის ტანია დაიღუპა, მე სერგეი კოროლიოვის შვილიშვილი ვარ, თქვენ ბიჩი ხართ? — შემეკითხა გოგონა.

— დიახ. ბიჭი ვარ. სად არის სერგეი?

— ბაბუა დიდი ხანია ავადმყოფობს, ჭრილობებმა გაუხსენა. როცა შეიტყო, რომ თბილისში მაგზავნიდნენ, დამაბარა, იმ ქალაქში ვერცხლის ქუჩა მოძებნე, იქვეა ცენტრში, დიდ მოედანთანო. იმ ქუჩაზე ბიჩის ყველა იცნობს. ის იმ შენობას გიჩვენებს, სადაც მე ვიწექიო.

ყველანი შინ შევიპატიჟე.

— ბალალაიკა გადარჩა? — შემეკითხა გოგონა. — ბაბუას ახლაც აქვს ბალალაიკა. ხშირად უკრავს. ჩვენც გვასწავლა დაკვრა. მე და ჩემი ძამიკო „სულიკოს“ ვმღერით. ამ სიმღერას მე და ბიჩი თბილისში ერთად ვმღეროდითო, გვითხრა ბაბუამ.

ტანიას ჩემი შვილები გავაცანი, გავუმასპინძლდით. მინდოდა, ღამეც ჩვენთან დარჩენილიყო, მაგრამ გოგონებმა არ დამანებეს, ყველა დელეგატი განაწილებულია, ტანია ჩვენი სტუმარიაო. დღეს ნინო ბექაურთან იქნება, ხვალ ლელა ჯინჭარაძესთან, ზეგ ირა ჯაფარიძესთან, მაზეგ თამრიკო მარშანიასთან, შემდეგ კი დელეგატები მიდიან. ზეიმზე ოპერის თეატრში გვეწვიეთო, — დამპატიჟეს.

მათგან შევიტყვე, რომ თბილისს ყველა რესპუბლიკიდან ესტუმრნენ ბავშვები — პიონერთა სასახლეს მოეწვია მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციაზე.

კონფერენცია ბავშვების დიდი ზეიმით მთავრდებოდა. სწორედ ამ ზეიმზე მიმიწვიეს გოგონებმა.

ბალალაიკა კედლიდან ჩამოვხსენი. სიმებს ჩამოვკარი. სერგეის სა-

ყვარელი სიმღერა „კატიუშა" წამოიწყე, ტანიაც ამყვა...

— ბაბუამ მითხრა, ბიჩის მე ვასწავლე ბალალაიკაზე დაკვრაო, — თქვა გოგონამ.

მე და ტანიამ „სულიკოც" ვიმღერეთ.

ოცდათხუთმეტი წლის წინათ მობარებული ბალალაიკა ტანიას გადავეცი, ბაბუას ჩაუტანე-მეთქი.

მეორე საღამოს ოპერის თეატრში მგონი ყველაზე ადრე მე და ჩემი შვილები მივედით. პარტერში წინა ადგილები დავიკავეთ.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ სტუმარი ბავშვები.

სიტყვა ტანია კოროლიოვას მისცეს.

ტანია სცენაზე ორი ბალალაიკით გამოჩნდა. სცენის კიდემდე მოვიდა, პარტერში მსხდომთ გადმოგვხედა.

— ბიჩი მაღლაკელიძეს ვთხოვ, თუ შეიძლება, სცენაზე ამობრძანდეს.

დარბაზში ერთმანეთს გადახედეს, ნეტა ვის უხმობს ეს გოგონაო.

— ძია ბიჩი, ამობრძანდით, — მომძებნა თვალებით ტანიამ.

სცენაზე ასულს ტანიამ სერგეის ბალალაიკა გადმომცა. თავისი თვითონ მოიმარჯვა და მთხოვა: მე და თქვენ ორივემ უნდა დავუკრათო.

სკამები დაგვიდგეს. დავსხედით, საკრავები მოვიმარჯვეთ და „სულიკო" და „კატიუშა" შევასრულეთ.

შემდეგ ტანიამ ორივე ბალალაიკას დაავლო ხელი, ორი ნაბიჯი დარბაზისაკენ გადადგა და დამსწრეთ მოახსენა:

— იცით, რამდენი წლისაა ეს ბალალაიკა? — მაღლა ასწია საკრავი. — ის ბაბუაჩემს ეკუთვნოდა, ფრონტიდან თბილისში ჩამოჰყვა... — და ტანიამ უამბო შეკრებილებს სერგეი კოროლიოვის ცხოვრება, სკოლის შენობაში მოთავსებულ ჰოსპიტალში გატარებული დღეების, ვერცხლისქუჩელთა მასპინძლობის ამბავი...

— ეს ახალი ბალალაიკა კი ბაბუამ ომის შემდეგ როსტოვში შეიძინა და მე მაჩუქა. ყველგან თან დამაქვს. სიმღერებიც ბაბუამ მასწავლა. მე და ჩემი ძმა „სულიკოს" სკოლისა თუ პიონერთა სასახლის სცენაზე ერთად ვმღერით. ბაბუამ მითხრა, კეთილი ბიჩი ჩემ მიბარებულ ბალალაიკას არ დაკარგავდაო.

დარბაზში ტაშმა იქუხა.

ტანიამ თინა დეიდა ახსენა. ისიც თქვა, ვერცხლისქუჩელ ბავშვებს აზგით თუ უზით როგორ მიგვქონდა სერგეისთან და სხვა დაჭრილებთან ბაზარში ჩამონათხოვი ხილი...

დარბაზში ტაში არ ცხრებოდა.

ისე დავიბენი, სცენიდან ჩამოსვლა ვერ მოვიფიქრე.

— მამა, ჩამოდი, — მანიშნეს შვილებმა.

...ვდგავარ ახლა ქუჩაში და ჩემი სკოლის შენობას შევცქერი. მეორე სართულის განაპირა ფანჯრის მინაზე ცხვირმიჭყლეტილი ბავშვები მიღიმიან. რატომღაც დენთის სუნი მცემს. მესმის იმ მძიმე წლების ქუხილი, სერგეის ბალალაიკის პირველი დაკვნესებაც...

არა, ამ სკოლაში უნდა გადმოვიდე სამუშაოდ.

თანაც, რაკი სერგეის კვალს მივაგენი, უსათუოდ ჩავალ როსტოვში.



## ვასახელებთ მშობლიურ სკოლას

მართლაც რომ იყოჩაღა ჩვენმა რაზმმა ამ სასწავლო წელს, აკადემიური მაჩვენებლებიც კარგი გვქონდა და შრომითიც. მე და ჩემი ამხანაგები აქტიურად ვმონაწილეობდით ყველა შრომით ოპერაციასა და აქციაში. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ მე, როგორც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პიონერი, კასპის კომკავშირის რაიკომმა ჯილდოზე წარმადგინა. ეს ხომ მარტო ჩემი კი არა, მთელი რაზმის აქტიურობის შედეგად მოხდა. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში შრომით ოპერაციებსა და აქციებში სხვა გამარჯვებულ პიონერებს შევხვდით, ერთმანეთს ჩვენს შრომით საქმიანობაზე მოვუყევით. მერე კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში საპატიო სიგელები გადმოგვცეს. ეს მაღალი ჯილდო მეტს გვავალებს მეც და ჩემს თანარაზმელებსაც. მომავალში კიდევ უკეთ ვისწავლით და ვიშრომებთ, ვასახელებთ მშობლიურ სკოლასა და სოფელს.

**კახა ტატუნაშვილი,**
**კასპის რაიონის ქვემო ჭალის საშუალო სკოლა, IV კლასი.**

## მიყვარს ჩემი რაჭა

ზაფხულის არდადეგების ნაწილს, ჩვეულებრივ, რაჭაში ვატარებ ხოლმე. ძალიან მიყვარს საქართველოს ეს მშვენიერი კუთხე, მდიდარი საკურორტო ადგილებით, სამკურნალო წყლებით და ისტორიული ძეგლებით; მოვლილი და ნანახი მაქვს ნიკორწმინდის ტაძარი, ბარაკონის ეკლესია, მინდაციხე, ხო-

ტევის ციხე. ჩემს ლამაზ რაჭას კიდევ უფრო ალამაზებენ მოგრუხუნე რიონი, ქვედრულა, ხოტურა და სხვა, ერთმანეთს ჩაგრეხილი, ამწვანებული მთები.

ბევრგან დავყავარ დედას და მამას, მაგრამ ისეთ სიხარულსა და ბედნიერებას არსად არა ვგრძნობ, როგორც რაჭაში.

**თორნიკე კოზახიძე,**
**თბილისი, 51-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.**

## ჩვენი შემოქმედება

## ვაზის ტირილი

გაზაფხულდა. წვიმების შემდეგ მიწა გაფუვდა. ია-ენძელა კარგა ხანია ამოვიდა სამზეოზე, სასიცოცხლო წვენი ჩაუდგა ვაზსაც. მიწის გულიდან მისხალ-მისხალ ამოაქვს საზრდო. და ტირის...

ფიქრში ვიძირები. გარდასულ დღეთა, წელთა და საუკუნეთა მიღმა ვხედავ დაკოჟრილ ხელებიან გლეხკაცს — ვაზის მინდიას, და განა ერთს? მრავალზე მრავალს! ხმა ჩამესმის, თითქოს რეკს დედოზარი და ექოდ გაისმის ძველისძველი საგალობელი ვაზისა — წინაპრები რომ აგუგუნებდნენ:

„შენ ხარ ვენახი...“

ჩაიარა მათი სიცოცხლის ჟამმა, წავიდნენ, გულში ჩაეხუტნენ მიწას, მიწად იქცნენ. მერე სხვები მოვიდნენ.

მოვიდნენ, მაგრამ განა სალხინოდ? — საომრად, სამშობლოს დასაცავად, ვაზის გადასარჩენად, ერის სადიდებლად.

და ყველა, ვინც კვლავ მიწას მიწად მიუბრუნდა, ვაზის ფესვს ამაგრებდა, ხვალის იმედად სამამულე რქასა სტოვებდა.

აკი იმძლავრა, იხარა და აღორძინდა, ახლებურად აყვავდა.

ტირის ვაზი კახეთის მიწაზე, სევდანარევი ბედნიერების, ცრემლებით ტირის.

**გიორგი პოპიაშვილი,**
**თელავის მე-7 საშუალო სკოლა, VII კლასი.**

## უცხო ყვავილი

ტყის განაპირა პატარა მდელოზე იშვიათი სილამაზის ყვავილი ამოვიდა. მის თოვლივით ქათქათა ფურცლებს მკრთალი სილურჯე გადასდიოდა. სხვა ყვავილებს ძალიან გაუკვირდათ და ჩურჩულს მოჰყვნენ:

— ეს რა საუცხოო ყვავილია?!

— ნეტავი აქ საიდან გაჩნდა?!

უცხო ყვავილმა თვალი მოავლო მზის შუქზე გაბრწყინებულ, ყვავილებით მოჩითულ მდელოს, ესიამოვნა ირგვლივ უამრავი ყვავილი და თავისთვის ჩაიჩურჩულა: — რა კარგია, რომ მარტო არ ვიქნები! — და ველს შესცინა.

მისი სილამაზით შეცბუნებულ ყვავილებს ეგონათ, ასეთი ლამაზი თავს არ გაგვიყადრებსო, მაგრამ, რომ დაინახეს, უცხო ყვავილი სათნოდ უცინოდათ, გაუხარდათ და თვითონაც ღიმილი შეაგებეს.

მდელოზე დაშვებულმა პატარა ნაკადულმა მზის სიცხისაგან ფესვებგახურებულ ყვავილებს უამრავი ვერცხლისფერი შხეფი მიაპნია, მერე უცბად ლამაზი, უცხო ყვავილი შენიშნა და იქით გადაინაცვლა. მასაც შეასხურა ვერცხლისფერი შხეფი, ფესვები დაუნამა და ღიმილით გადაულაპარაკა:

— შენ აქ სხვა დროს არ შემინიშნიხარ, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. საიდან მოხვედი? რა გქვია?

უცხო ყვავილმა პასუხი ვერ დაუბრუნა ნაკადულს, რადგან თვითონაც არ იცოდა, რა ერქვა ან როგორ მოხვდა ამ მდელოზე. იმ დღიდან



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 8

უცხო ყვავილი და ნაკადული დამეგობრდნენ.

მოკლე ხანში იმ მდელოზე უცხო ყვავილის მსგავსი სხვა ყვავილებიც გამოჩნდნენ, მაგრამ არცერთმა მათგანმა არ იცოდა საკუთარი სახელი.

**ნინელი ნიჟარაძე,**
**თბილისის მე-10 საშუალო სკოლა, VII კლასი.**

## ძმობა

*არწივი ვნახე დაჭრილი,*
*ყვავ-ყორნებს ეომებოდა...*

**ვაჟა-ფშაველა**

დაჭრილ არწივს ძმა ჰყოლია,
ძნელ დროს მიეხმარა,
ყვავ-ყორნები დაიფრინა,
ძმას ეფარა ფარად,
მწვავე წყლული მოურჩინა,
შვება მოუტანა,
ამ ძმობაზე, ჭეშმარიტზე,
მღერის დღეს ქვეყანა.

## სიმღერა

მაღალო მაღაწლის ქედო,
ათასფერება ველოო,
მთას შეფენილო ტყეებო —
მშვენებავ საკვირველოო,
ჩამომქუხარე არაგვო,
მუდამ მბორგავო, ხელოო,
ცავ, ლეგა ღრუბელაშლილო,
დაბლა წვიმისა მდენოო,
სოფელო—ჩემო ბუდეო,
ყველაზე საყვარელოო,
მინდა ფიქრი და ოცნება
სულ თქვენთვის ავამღეროო,
თუმცა ჯერ უსახელო ვარ,
ლერწმის პატარა ღეროო.

**მაია აფციაური,**
**დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლა, VII კლასი.**



# ღარიბთა უბანში

ჰელგა ჰალკე — მოთხრობა — მხატვარი გივი ნონიკაშვილი

მუშათა კვარტალში ვიწრო ქუჩები ისე მიიკლაკნებოდნენ უბადრუკ ქოხმახებს შორის, კაცს ეგონებოდა, მატლები ფუთფუთებენო. ყველგან კოჭებამდე ტალახი იდგა. აქა-იქ ნაგავი დაეხვავებინათ. პირქუში და უკაცრიელი ეზოებიდან სიმყრალე სცემდა.

ორღობეში ახალგაზრდა ქალი იდგა და გაფაციცებით ათვალიერებდა მიდამოს, ეტყობოდა, ვიღაცას დაეძებდა. მისი მზერა ხან აგურის ნირშეცვლილ კედლებს მისწვდებოდა, ხან — შმორიან კარის წირთხლებს, ხან კი ფანჯრის დაბრეცილ ჩარჩოებზე გადაინაცვლებდა. კაცის ჭაჭანება არსად იყო.

„ფრედერიკ!", დაიძახა ქალმა. არავინ გამოეპასუხა.

„ფრედერიკ, სადა ხარ?", — გაისმა ისევ ქალის ბრაზიანი შეძახილი.

„ისევ გამეპარა სადღაც, მაგის მოსვენება არ იქნა, ხან ამ ორღობის ნახვა უნდა, ხან იმის, არც ეზოში გადაძრომაზე იხევს უკან, არც საღორე ავიწყდება, ასჯერ ექნება ეს ტურტლიანი უბანი შემორბენილი".

„ფრედერიკ", დაიყვირა ქალმა კიდევ ერთხელ და ფეხი დააბაკუნა.

მოულოდნელად იქვე მიწურიდან მოხუცმა კაცმა გამოყო თავი. — „რა გაღრიალებს, თუ იცი?!" — დაუტია ქალს. მარი დაიხარა, „აქ ვინმე ახალგაზრდა ბატონიშვილი ხომ არ დაგინახავთ, მაღალი, გამხდარი, წითურწვერიანი?".

„რაო, ბატონიშვილიო?", იქედნურად ჩაიხითხითა კაცმა, „შენ რა ტკბილ ოცნებას მისცემიხარ, აქ ბატონიშვილი ჩემს დღეში არ მინახავს, ნეტავ როდის იყო, ლაფიან ორღობეებში ბატონები დაბრძანდებოდნენ?!".

მოხუცის თავი ისევ სწრაფად გაუჩინარდა ტალახიან ფიცარს იქით, რომელიც, ეტყობოდა, მიწურის ჩასაკეტად იყო გამოყენებული.

მარის გააჟრჟოლა, მოსასხამი უფრო მჭიდროდ შემოიხვია, მთელ სხეულში სიცივემ დაურბინა.

ერთი წლის წინ გაიცნო მან ფრიდრიჰი, რომელმაც მაშინვე სთხოვა, შენი ქალაქი დამათვალიერებინეო — აინტერესებდა, როგორ ცხოვრობდნენ მუშები მანჩესტერში, ყველაფრის ზედმიწევნით შესწავლა უნდოდა. მარი ხომ ყოველ კუთხე-კუნჭულს იცნობდა მუშათა უბანში, აქ ჰქონდა გატარებული ბავშვობა, აქ ჰყავდა მეგობრები, სართავ საამქროში მუშაობის დაწყების მერეც აქ დაიდო საბოლოოდ ბინა.

მარი ფრიდრიჰს ორღობეების, ეზოების, მიწურების სანახავად დაატარებდა. ისიც გულდასმით ეცნობოდა და სწავლობდა მუშების ცხოვრების პირობებს. ფეხმარდი და სულსწრაფი ჭაბუკი მარის ხშირად უკანაც ჩამოიტოვებდა ხოლმე, ბნელ გასასვლელში გაძვრებოდა და ხავსმოდებულ კედლებს იქით ან პაწაწკინტელა ეზოებში ჩაიკარგებოდა.

„ნეტა სად გაქრა?", ჩაფიქრდა მარი და ორღობეს დაუყვა, ფუნიან წუმპეს გადაახტა და ისევ მიაყურა. რომელიღაც ეზოდან მის სმენას გაურკვეველი ხმები მისწვდა, მალე ტყაპანიც გაისმა, მერე კი მას ფრიდრიჰის ხმაც მოჰყვა. „გეყოფა ახლა, ნუ სულელობ!", უყვიროდა ის ვიღაცას.

ისევ მოისმა ტყაპანი.

„ეშმაკსაც წაუღიხარ!", ილანძღებოდა ფრიდრიჰი.

მარი სულმოუთქმელად გაქანდა გასასვლელისკენ, საიდანაც ხმები მოდიოდა.

„ფრედერიკ, სადა ხარ?", დაიძახა კიდევ ერთხელ და ეზოს თვალი მოავლო. იქვე კუთხეში ნაგვის გორა იდგა. ტიხარს იქით ღორების ყურისწამღები ჭყვიტინი ისმოდა.

„ჩქარა გაიქეცი აქედან", მოისმა საიდანღაც ენგელსის ხმა. მარი მას ვერ ხედავდა.

„სადა ხარ, ფრიდრიჰ, დამენახვე!"

მარიმ ძლივს შეასწრო თვალი რაღაც მოშავო ბურთს, რომელიც წუილით გამოექანა მისკენ, მერე ლოყაზე ასხლტა და კედელს მიეტყეპა. გაოცებულმა ქალმა კედელს შეხედა, ზედ მყრალი ფუნა მიწებებოდა. მარი მყის შემოტრიალდა და საღორის სახურავზე ერთ გალეულ ბიჭს ჰკიდა თვალი. ბიჭი ელვის სისწრაფით ამზადებდა ფუნის გუნდებს და ერთიმეორის მიყოლებით ისროდა.

მარის მხრებზე, ხელებზე, სახეზე, წითურ ხუჭუჭა თმაზე ხვდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისინი. „დამაცადე ერთი!" — კბილებშუა გამოსცრა გაცოფებულმა მარიმ, ორი ნახტომით გადაჭრა ეზო, დაბალ სახურავს კატასავით მოეჭიდა და წამში ზემოთ მოექცა. ბიჭს ფეხზე ხელი წაავლო და მოსწია. ორივენი დანჯღრეულ სახურავზე დაგორდნენ, რომელიც ყოველ წუთს შეიძლებოდა ჩანგრეულიყო. უცებ რომელიღაც კასრიდან ფრიდრიჰიც გამოძვრა.

„გაუშვი, მარი, არ გაარტყა!", მბრძანებლურად შესძახა მან ქალს, რომელიც ღონივრად ჩაჰფრენოდა ბიჭს გამხდარ მკლავებში და აჯანჯღარებდა. „არამზადავ, ველურო, ბინძურო!", ილანძღებოდა მარი.

მქრქალ მთვარესავით მოჩანდა ეზოს მობინადრეთა ცნობისმოყვარე სახეები ფანჯრებიდან, რომლებზეც მინების ნაცვლად გაქონილი ქაღალდი იყო გაკრული.

უცებ ბიჭმა ღრიალი შეწყვიტა, მარი შეათვალიერა და სახე ღიმილმა გაუნათა. „რა ეშმაკივით იწყევლები, წითელთმიანო?", უთხრა მშვიდად. მარი მოულოდნელობისაგან დადუმდა.

უკან, სადგომებში შეშინებული ღორები ჭყვიტინებდნენ.

„კარგი, წითელთმიანო, გეყოფა, მე შენ გიცნობ, ჩვენთან ფაბრიკაში მუშაობ, არ გეწყინოს, შემეშალა, უცებ ვერ გიცანი".

მარიმ მკლავები დაუშვა.

ბიჭმა საღორისკენ დაიხია, მერე ეზოში მდგომ უცნობ ბატონს დააკვირდა.

„ამას აქ რა ესაქმება?", იკითხა ბოლოს.

„ჩემი მეგობარია", მიუგო მარიმ.

ბიჭმა გაიცინა, „მაშ, ეს ბატონი შენი მეგობარია?", მან თითი ენგელსისკენ გაიშვირა, „ერთი შეხედე, მართლაც რომ კეთილშობილი მისტერია".

ფრიდრიჰმა ტანზე დაიხედა, იგი თავით ფეხებამდე ამოთხვრილი იყო. მერე სახეზე მოისვა ხელი. წვერებზეც ტალახი შერჩენოდა.

„ეშმაკმა დალახვროს!", წაიბურტყუნა მან.



„ოჰო, კარგად კი ამოგანგლულხარ, კეთილშობილო მისტერ!" შესძახა მარიმ და კისკისი მორთო.

„მოიცა, მოიცა", შეაწყვეტინა ფრიდრიჰმა, „სხვათა შორის, არც შენ ხარ უკეთეს დღეში".

„აბა, დამიჭირე, თუ ბიჭი ხარ", მიაძახა მარიმ და სახურავიდან მარდად ისკუპა.

ფრიდრიჰმა სასოწარკვეთილებისაგან ხელები მაღლა ასწია, „მარი, რატომ არ გებრალება ბრძოლის ველზე დარჩენილი დამარცხებული მეომარი? ეს ერთ დროს ჩემი საუკეთესო საგარეო პიჯაკი იყო, ახლა რაღა უნდა ვქნა?", თქვა მან და მალულად ბიჭისკენ გააპარა თვალი, მერე თავის შეცბუნებულ მეგობარს მკლავზე წაეპოტინა.

„წამოდი, ჩქარა, გავიქცეთ!"

ბიჭი ახალ-ახალ გუნდებს ამზადებდა და გვერდით ილაგებდა.

„ეგ რისთვისღა გინდა, ერთი ვიცოდე", მიაძახა მარიმ.

ბიჭმა პირქუშად გადმოხედა მათ. „აბა, ჩქარა მოუსვით აქედან, აქ მალე დიდი ბრძოლა გაიმართება".

„შენ რა, ყველა აქ მოსულს ასე უმასპინძლდები?", ჰკითხა მხიარულად ფრიდრიჰმა.

„ეგ შენი საქმე არაა, მისტერ", შეუბღვირა ბიჭმა. ის თავისი მარდი თითებით სწრაფად განაგრძობდა სველი გუნდების მზადებას.

„ნეტა გამაგებინა, რად უნდა ეს გუნდები", წასჩურჩულა ფრიდრიჰმა მარის. „ახლავე გავიგებ", ჩურჩულითვე მიუგო მარიმ და ფრიდრიჰი ორღობეში გაიყვანა. ორიოდე წუთი არ იქნებოდა გასული, რომ მან ბიჭი მოიყვანა და ფრიდრიჰს წარუდგინა.

„ამას მაკი ჰქვია".

მაკმა ყურადღებით დაზვერა ორ-

ღობე „ჯერ არავინ ჩანს", წაიბურტყუნა მან.

„ვინ არ ჩანს?", ჰკითხა ფრიდრიჰმა.

„ვინა და ვინც ჩვენი მიწურიდან გასახლებას გვიპირებს, მათთვის ვამზადებ ამ ფუნდებს, რომ გაგვასახლონ, სადღა უნდა ვიცხოვროთ?"

„ქირა რომ ვერ გადაიხადეთ, იმიტომ, არა?" ჰკითხა ფრიდრიჰმა.

ბიჭმა თავი დაუქნია და დაღონებული მიწას დააშტერდა.

„სულ რამდენი ხართ ოჯახში?"

„დედა, ჩემი პატარა ძმა და მე; მამაჩემი შობა დღეს მანქანამ გაიტანა".

„შენ მუშაობ, მაკ?"

„არა, არ ვმუშაობ", ბიჭმა ტალახში გადააფურთხა.

„ოსტატმა გამომაგდო, ბოლო გასამრჯელოც კი არ გადამიხადა იმ არამზადამ, ზოზინა ხარო, მითხრა; მე კი ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. ჩემი ძმა ავად არის და მთელი ღამე საშინლად ყვირის, რამდენი ხანია, თვალი ვერ მოგვიხუჭავს. ჰოდა, დილით ფეხები ტყვიასავით მაქვს ხოლმე დამძიმებული".

ფრიდრიჰი ჩაფიქრდა. „მამაჩემის ფაბრიკაში მოვაწყობ, ამაზე კარგი რა უნდა იყოს".

„სუუ", დაისისინა უცებ მაკმა და კისერი წაიგრძელა.

„უკვე მოდიან?", იკითხა ფრიდრიჰმა.

სამივენი სმენად იქცნენ, მაგრამ მხოლოდ სახურავიდან ჩამონადენი წყლის წკაპუნი არღვევდა მყუდროებას, — წკაპ, წკაპ, წკაპ... — წვეთავდა ჭანჭყობში.

„ერთი მობრძანდნენ, ვუჩვენებ სეირს", თქვა ბიჭმა და მუშტები მოიღერა. ორღობეში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

მაკმა ამოიოხრა, მერე ცნობისმოყვარე თვალებით შეათვალიერა ენგელსი, — „შენ ბატონივით კი გამოპრანჭულხარ".

ფრიდრიჰმა მარის შეხედა, არ იცოდა, რა პასუხი გაეცა ბიჭისათვის, მერე ფიქრიანად წვერზე მოისვა ხელი და მიუგო: „კი, მართალი ხარ, ბატონივით მაცვია, თორემ ნამდვილი ბატონი კი არა ვარ".

„აბა ვინა ხარ, ციხიდან ხომ არ გამოიპარე?"

„როგორ გავაგებინო?", ჩაფიქრდა ფრიდრიჰი, მერე თვალი შეავლო გაკნაჭულ, ლოყებჩაცვივნულ ბიჭს, რომელიც ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა... „ვერ მოვატყუებ, ვეცდები, როგორმე მივახვედრო", გაიფიქრა ენგელსმა და დაიწყო: „როდესაც მე შენი ტოლი ვიყავი, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი მეკობრე გავმხდარიყავი..."

„მეკობრე?" ისე მოეწონა ეს მაკს, რომ დაუსტვინა. „მოდი რა, მეც წამიყვანე შენს გემზე, იუნგად გამოგადგები", და აღელვებული ფრიდრიჰის ხელს წაეტანა. „მე კარტოფილის მოხარშვა შემიძლია, ხმალსაც აგილესავ, მტრებს სულ მიზანში დავახლი ტყვიას, რომ ჩვენი დანახვა შიშის ზარს სცემდეს. წამიყვანე თან"...

„მოიცა, ჯერ მათქმევინე", გააწყვეტინა ენგელსმა, „მე მართლა მინდა დაგეხმარო".

„ესე იგი, წამიყვან, არა? როდის წამიყვან?"

ფრიდრიჰმა ამოიოხრა. „აი, მაკ, ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი ეკიპაჟი რომ გვყავდეს, როგორ ფიქრობ, რას ვიზამდით?"

„რას ვიზამდით და, მდიდარ გემებს მოვიტაცებდით, მთელ მათ ბელადიდებას ჩვენ გავიყოფდით. ოჰ, რა გემრიელად ვიცხოვრებდით, ყოველდღე ღორის ლორსა და თითო მეტრი სიგრძის ძეხვს შევექცეოდით".

„მერე, ეს დედაშენს, შენს ძამიკოს და ფაბრიკის სხვა მუშებს რას არგებდა?"

ბიჭი წამით ჩაფიქრდა, მერე მხიარულად წამოიძახა: „იმათაც ჩამოვუტანთ საჩუქრებს, როდესაც ინგლისის ნაპირებს მოვადგებით".

„აბა, იმდენს რას მოვიხელთებთ, რომ ყველას ეყოს?"

მაკმა ამოიოხრა.

„ასე რომ, მეკობრეობა არაფერს გვარგებს", განაგრძო ფრიდრიჰმა, სხვა გზას უნდა დავადგეთ, მუშები უნდა გაერთიანდნენ, აჯანყდნენ, თავად დაისაკუთრონ ფაბრიკა-ქარხნები".

მაკმა ეჭვიანად გააქნია თავი.

„ეს სალახანები არც ისეთი ბრიყვები არიან, შენ რომ გგონია, არავის არაფერს დაანებებენ, პოლიციელებს მოგვისევენ და თვალის დახამხამებაში გისოსებს მიღმა ამოვყოფთ თავს".



„ჩვენ ვაიძულებთ, რომ დათმონ ფაბრიკა-ქარხნები“.

„როგორ, ფუნის სროლა დავუწყოთ?“

ენგელსმა გაიცინა. „აი, მე წიგნს დავწერ, სადაც ნაჩვენები იქნება, როგორი ულმობელი და ბოროტი არიან ფაბრიკანტები, როგორ ატყუებენ საცოდავ მუშებს. მათ წიგნისა უფრო შეეშინდებათ, ვიდრე მთების ოდენა ფუნისა“.

მაკს ვერ დაეჯერებინა უცნობი ბატონის ნათქვამი, „წამო, ჩემთან, უმჯობესია გიჩვენო, როგორ უნდა გუნდების მიზანში სროლა“.

„კეთილი“, მიუგო ფრიდრიჰმა და მარის თვალი ჩაუკრა. „მე გადავწყვიტე ახალი სამუშაო გიშოვო, ხვალვე გამოცხადდი ფირმა „ერმენ და ენგელსში“.

მერე ჯიბე მოიჩხრიკა ,იქ ორადორი მონეტა იპოვა, „ეს ქირისთვის იყოს, სამწუხაროდ, მეტი თავადაც არ გამაჩნია“.

მაკმა მოწიწებით გამოართვა მონეტები და დინჯად მიუგო: „შენ მართალი ხარ, ფუნის გუნდების სროლა მართლაც სისულელეა, ასე ვერ გამდიდრდები, ყველაფერს ისევ მეკობრეობა სჯობია“.

ფრიდრიჰ ენგელსმა მართლაც დაწერა წიგნი, რომელიც მან მაკს აღუთქვა. ფაბრიკის მფლობელები და მემამულეები მტრულად შეხვდნენ მას. სამაგიეროდ, ენგელსმა ბევრი თანამოაზრე შეიძინა, კარლ მარქსი მისი საუკეთესო მეგობარი გახდა.

1848 წელს გერმანიაში მუშებმა, გლეხებმა, ხელოსნებმა და სტუდენტებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი. თავდაპირველად ფაბრიკის მფლობელებიც თანაუგრძნობდნენ რევოლუციას, მაგრამ მალე ისინი ფაბრიკების დაკარგვის შიშმა მოიცვა და დახმარებისათვის პრუსიის მეფეს მიმართეს. ხალხი აღაშფოთა ამ ღალატმა. ჩამოყალიბდა რევოლუციური არმია, რომლის რიგებშიც იბრძოდა ენგელსი პრუსიელთა სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ.

გერმანულიდან თარგმნა
დარეჯან გოჩალეიშვილმა

## სპორტი —
## ცხოვრებაში

გიორგი ეწერელი

# ჩვენი ერთგული მეგობარი — ველოსიპედი

ველოსიპედი!

მაჩვენეთ ერთი ბავშვი მაინც, ველოსიპედზე ჯდომა რომ არ უყვარდეს. ასეთი არ მეგულება არსად. აიდგამს თუ არა ბალღი ფეხს, ბიჭი იქნება თუ გოგონა, სულ ერთია, ველოსიპედი მისი საყვარელი გასართობი ხდება, ნება რომ მისცე, დილიდან დაღამებამდე არ მობეზრდება „რკინის ცხენებით“ აღმადაღმა გრიგალი, ერთმანეთის გაჯიბრება, სივრცეების დაძლევა...

დიდი ხნის წინათ, ოცი-ოცდაათიანი წლების თბილისელ ბავშვებს ერთი საოცნებო საგანი გვქონდა — ველოსიპედი. სად იყო მაშინ ეს მანქანები! მთელ უბანში ან ქუჩაზე ერთ-ორ ბედნიერს თუ ჰქონდა ველოსიპედი, ამაყად გამოიტანდა სასეირნოდ ეზოში და მერე იყო ერთი ხვეწნა და ყელის გლეჯა — მათხოვე, რა! დამსვი, რა! ერთი წრე, რა!

თუ ველოსიპედის პატრონი გულკეთილი იყო, დაგსვამდა, თუ არა, ისლა დაგრჩენოდა, შურის თვალით გემზირა, რა სიამოვნებით დააგელვებდა ველოსიპედს მისი მფლობელი.

მერე ზოგიერთი როგორი ვირტუოზი იყო! უხელოდ გნებავთ, ზურგშექცეული გნებავთ, ცალ ბორბალზე გნებავთ, ზიგზაგებით გნებავთ — ყველაფერი შეეძლო.

ახლა, უკვე კარგა ხანია, ველოსიპედი ოცნებისა და ფუფუნების საგანი აღარაა. მიაკითხეთ რომელიც გნებავთ სპორტულ მაღაზიას და მოითხოვეთ სასურველი მარკის საუკეთესო ველოსიპედი: საბავშვო, მოზრდილების, ქალების, სამთვლიანი, ორთვლიანი, საგზაო, სარბოლი, მაღალი საჭით, დაბალი საჭით. რაც სულმა და გულმა ისურვოს, რა კონსტრუქციაც ყველაზე უფრო გენებოთ. არის ორადგილიანი ველოსიპედებიც, ე. წ. ტანდემები, რომლებზეც მეგობართან ერთად წყვილად სეირნობა შეიძლება. არჩევანი მრავალფეროვანია.

ველოსიპედი ჩვენს დროში მართლაც ძალიან გავრცელდა. ზოგ ქვეყანაში ველოსიპედზე თითქმის მთელი მოსახლეობაა ამხედრებული — დიდიც და პატარაც. ასეთებია ვიეტნამი, კორეა, კამპუჩია, ინდოეთი, იაპონია, ინდონეზია, ავსტრალია. ბავშვები ველოსიპედებით დადიან სკოლაში, სტუდენტები — უმაღლეს სასწავლებლებში, მუშამოსამსახურეები — დაწესებულებებში თუ ფაბრიკა-ქარხნებში, გლეხები — მინდორში. მილიონები, ასეული მილიონები სარგებლობენ ამ მეტად ხელსაყრელი ტრანსპორტით.

მაგრამ ხელმისაწვდომობის გარდა ველოსიპედს სხვა, კიდევ უფრო სასარგებლო დანიშნულებაც აქვს, ის, რასაც მოკლებული არიან ტრანსპორტის სხვა მექანიზებული საშუალებები — ავტომობილი, მოტოციკლი, მოტოროლერი და ა. შ. ველოსიპედზე ჯდომისას ადამიანი თითქმის განუწყვეტლივ ატრიალებს პედალებს, კუნთები ინტენსიურად მუშაობენ, სისხლის მიმოქცევა გა-



ძლიერებულია, ადამიანს უვითარდება საერთო კოორდინაციის, ბალანსირების ჩვევები, უმახვილდება მხედველობა, უვითარდება სუნთქვა, საერთო რეაქცია. ყველაფერ ამასთან ერთად, თუ იგი ქალაქგარეთაა გასული და მინდვრად, ბილიკზე ან მდინარის გასწვრივ ნავარდობს თავისი „რკინის რაშით“, ბუნების სუფთა ჰაერი, შემხვედრი სიო, სასიამოვნო გარემო დადებითად მოქმედებს მის ჯანმრთელობაზეც და გუნება-განწყობილებაზეც: ამ დროს ის ფიზიკურადაც ვარჯიშობს, სერიოზულ დატვირთვასაც ღებულობს და აქტიურადაც ისვენებს.

ჩვენში ველოსიპედი დიდად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს რაიონებში, კოლხეთის დაბლობზე, აგრეთვე თბილისში, გორში, რუსთავში... ყველა საზოგადოებას, სპორტკომიტეტებს ჰყავთ ველოსპორტის სექციები, სადაც გამოჩენილი ოსტატებიც მეცადინეობენ და ნორჩებიც; ხშირად ეწყობა შეჯიბრებები, ექსკურსიები. შარაგზებზე და გზატკეცილებზე ალბათ ხშირად გინახავთ ველოსპორტსმენთა ქარავნები, რომლებსაც გამოცდილი მწვრთნელები მეთაურობენ; ხშირად ნახავთ საოჯახო ლაშქრობებსაც, როცა უფროსები და პატარები ველოსიპედებით ქალაქგარეთ მიემგზავრებიან ბუნების წყნარ, ჯანსაღ წიაღში.

ველომოყვარულებს ალბათ დააინტერესებთ ველოსპორტის ისტორია, თვით ველოსიპედის გამოგონების ამბავი.

სიტყვა „ველოსიპედი“ ლათინური წარმოშობისაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „სწრაფ ფეხებს“. ველოსიპედით მგზავრობისას ადამიანი ოთხჯერ უფრო ნაკლებ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე ფეხით სიარულის დროს, სისწრაფე კი ერთი და იგივე ენერგიის ხარჯვის პირობებში ოთხჯერ-ხუთჯერ უფრო მეტია. ჩვეულებრივი, ნორმალური მგზავრობისას სწორ გზატკეცილზე ველოსიპედი საათში 20-30 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს, სპორტულ შეჯიბრებებზე — 50 კილომეტრს, ხოლო ტრეკზე გამართულ ასპარეზზე საუკეთესო ველომსრბოლთა საშუალო სისწრაფე თანამედროვე ავტომანქანის სიჩქარის ტოლია.

რუსეთში ველოსიპედი გამოიგონა უბრალო მუშამ არტამონოვმა, რომლის ერთ-ერთმა მოდელმა საყოველთაო ყურადღება მიიქცია მოსკოვის 1801 წლის გამოფენაზე. პირველმა ველოგასეირნებებმა თანდათან საინტერესო შეჯიბრებათა სახე მიიღო. ოფიციალური დიდი ველოასპარეზობები ინგლისსა და საფრანგეთში მოეწყო 1860-იან წლებში, კერძოდ, გაიმართა საგზატკეცილო რბოლა პარიზიდან რუანამდე. ტრეკზე პირველი შეჯიბრება ჩატარდა ინგლისში 1868 წელს, გერმანიაში — 1882 წელს, მოსკოვში — 1883 წელს.

ველოსიპედმა საქართველოშიც მალე შემოაღწია. საკმარისად გამოჩნდნენ ენთუზიასტებიც. 1892 წელს თბილისში, ახლანდელი კამოს ქუჩის ბოლოში, ქართველი ოფიცრის გ. ჯორჯაძის თაოსნობით აიგო რუსეთში ერთ-ერთი პირველი, კარგად მოწყობილი ტრეკი, რომელმაც უმალ მიიზიდა მაშინდელი ახალგაზრდობა. აქ იმართებოდა დიდი შეჯიბრებები, ჩამოვიდნენ უცხოელებიც. ქართველ ველოსიპედისტთაგან სახელი გაითქვა შემდგომში ცნობილმა მომღერალმა და საზოგადო მოღვაწემ ლადო კავსაძემ.

ამ ათიოდე წლის წინათ საბურთალოში აშენდა თანამედროვე დიდი ველოტრეკი, რომელიც ახლაც ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. აქ გამართულ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში არაერთი მსოფლიო რეკორდი დაუმყარებიათ, ხისსაფარიანი სარბოლი ბილიკი საყოველთაო მოწონებით სარგებლობს. თბილისის ტრეკზე გამოსვლა დიდ ღირსებად ითვლება



მსოფლიოს გამოჩენილ ველომრბოლთათვისაც კი.

საქართველოს მუდამ ჰყავდა უმაღლესი კლასის ველოსიპედისტები — არკადი ხაბურზანია, ირაკლი კავსაძე, გიორგი ლეჟავა, ოთარ დადუნაშვილი, ედუარდ ჯიმშელიშვილი, ველიკო ჯონჯოლიანი, ვლადიმერ ძებნიაური, ავთანდილ გუნია, პეტრე ჩევარდოვი, ემზარ გელაშვილი და მრავალი სხვა, მაგრამ ნამდვილი საერთაშორისო აღიარება ჰპოვა შესანიშნავმა სპრინტერმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ომარ ფხაკაძემ, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ბადალი არ ჰყავდა საერთაშორისო ველორბოლებში.

სპორტული ველოსპორტის პროგრამა მეტად მრავალფეროვანია. აქაა საგზატკეცილო შეჯიბრებები, მრავალდღიანი რბოლები, ველოტურები, კროსები, სალიდერო რბოლა ტრეკზე, სპრინტი, ჰიტი, ტანდემებით შეჯიბრება, გამოდევნებით რბოლა, მანქანის ფიგურული ტარება, ამანათრბოლა და მრავალი სხვა. ყოველწლიურად იმართება მშვიდობის ტრადიციული ველორბოლა სოციალისტური ქვეყნების ტრასებზე.

მაგრამ სპორტული მწვერვალების მიღწევამდე ნორჩმა სპორტსმენმა, დამწყებმა ველომოყვარულმა კარგად უნდა იცოდეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ ნაბიჯებს ველოსპორტში. მან ნამდვილად უნდა შეიყვაროს მანქანა, თვალის ჩინივით მოუაროს მას, თავისუფალ დროს სისტემატურად იმეცადინოს, დაუღალავად ივარჯიშოს თანატოლებთან ერთად, არ დაიზაროს სხვა საერთოგანმავითარებელი ფიზიკური ვარჯიშებიც.

ველოსპორტი, როგორც ვთქვით, ჯანმრთელობის გაკაჟების და სიჯანსაღის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ტურისტული გასეირნებები, ამხანაგებთან გამართული შეჯიბრებები გადასწრებაში, გამძლეობაში, მართვის ოსტატობაში, მოძრაობის წესების ცოდნაში. ესტაფეტური შეჯიბრებები, ფიგურული ტარება და სხვა მსგავსი სახალისო, საინტერესო ასპარეზობანი გაამრავალფეროვნებენ, გაამდიდრებენ ნორჩთა დასვენების საათებს.

# ნიკოტინი ადამიანის წინააღმდეგ

**თამბაქოს სამშობლო სამხრეთ ამერიკაა. ევროპაში (ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია) შემოიტანეს XV ს. ბოლოს და XVI ს. I ნახევარში. რუსეთში XVII ს. დასაწყისში გავრცელდა, საქართველოში — XVII ს. ბოლოს და XVIII ს. დასაწყისში.**

**თამბაქოს წევა ყოფითი ნარკომანიის ერთ-ერთი სახეა.**

**თამბაქო შეიცავს ნივთიერება ნიკოტინს. იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო შხამიანი ალკალოიდია. ადამიანის ორგანიზმში ნიკოტინის რამდენიმე წვეთის (100-200 მგ, ე. ი. იმ რაოდენობისა, რასაც 200 გრ. თამბაქო შეიცავს) შეყვანამ შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს.**

**თამბაქოს კვამლის შესუნთქვისას ზიანდება კბილის მინანქარი, რაც კარიესის გაჩენას იწვევს. ხშირად ჩნდება სტომატიტი. ძლიერდება კუჭის სეკრეცია, მატულობს კუჭის წვენის მჟავიანობა, ვითარდება წყლულოვანი დაავადება, გასტრიტი... ყალიბდება ბრონქული ასთმა. ფილტვის კიბოთი დაავადების საშიშროება თამბაქოს მწეველთა შორის 20-ჯერ მეტია, ვიდრე არამწეველებში. ნიკოტინი ხელს უწყობს არა მარტო ფილტვის, არამედ ტუჩის, პირის ღრუსა და ტრაქეის კიბოს გაჩენასაც. ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი მწეველთა შორის თითქმის ორჯერ მეტია. მოზრდილთა შორის ტუბერკულოზით დაავადებულთა 95% მწეველები არიან. ძალზე მავნეა ნიკოტინი ფეხმძიმობის პერიოდში.**

**განსაკუთრებით მკვეთრად მოქმედებს ნიკოტინი სისხლძარღვებზე. ამის საილუსტრაციოდ გთავაზობთ ფოტოსურათებს, რომლებიც დასავლეთგერმანელმა ექიმებმა (ზ. ბრილმა და სხვებმა) გადაიღეს თბოვიზორის საშუალებით. ეს აპარატი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ტემპერატურულ სხვაობას და აშკარად ადასტურებს ნიკოტინის მძიმე გავლენას სისხლძარღვებზე.**

**პირველ ფოტოზე აღბეჭდილია ახალგაზრდა კაცის ნორმალური ხელი. მეორე ფოტო გადაღებულია 7,5 წუთის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა ამ კაცმა ერთი სიგარეტი მოსწია, მესამე კი — კიდევ 10 წუთის შემდეგ. ხელს თანდათან „წარეკვეთა" თითები: ნიკოტინი ავიწროებს სისხლძარღვებს, რომლებშიაც თბილი სისხლი მიედინება.**

**ასეთსავე ძლიერ გავლენას ახდენს ნიკოტინი მთელ ორგანიზმზე.**





# ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული
მწვრთნელი
ზოთა ინწკირველი

გთავაზობთ, ჭაბუკთა 1969 წლის საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო პარტიას.

## ესპანური პარტია

**ვ. კოზლოვი**
(ლენინგრადი. ოსტატობის კანდიდატი)

**ნ. ნეიმანისი**
(რიგა. პირველთანრიგოსანი)

ბელცი, 1969 წ. იანვარი.

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 d6 5. c3 კg4 6. h3 კh5

ეს სვლა და არც f3-ზე გაცვლა არაფერს სასიკეთოს არ იძლევა, ამიტომ 5. ... კg4-ს იშვიათად თამაშობენ, ის ხელსაყრელია შავებისათვის d2-d4-ის შემდეგ, ცენტრში დაძაბულობის განსამუხტავად.

7. d3! b5 8. კb3 მa5 9. კc2 c5 10. მbd2 მf6 11. მf1 კe7 12. g4 კg6 13. მg3 h5 14. მh4 hg 15. hg მd7 16. მg2 ე×h1 17. მ×h1 მf8 18. მg3 მe6 19. მe3

შევაფასოთ პოზიცია: 1. შავების პოზიციაში სუსტია d5 უჯრა, 2. მეფე ცენტრშია, 3. დასუსტებულია ლაზიერის ფრთა, 4. g6 კუ გამოთიშულია თამაშიდან. თეთრებს სუსტი აქვთ f4 უჯრა. ყოველივე ამან განაპირობა ორივე მხარის მანევრები.

19. ... მf4 20. მe2 კg5?

შეცდომაა, უთუოდ გამოწვეული პოზიციის შაბლონური შეფასებით. საჭირო იყო მხედრის შემონახვა 20. ... მe6 სვლით.

21. მ×f4 კ×f4 22. მd5 კ×c1 23. ე×c1 ეc8

სჯობდა მყისვე მc6, მაგრამ შავების პოზიცია მაინც უარესია.

24. ლf3 მc6 25. მფe2 მe7 26. ეh1 მფd7 27. მe3 f6 28. კb3.

თეთრების უპირატესობა აშკარაა, ისინი ფლობენ ერთადერთ ღია „h“ ვერტიკალს, სუსტია d5 უჯრა და საერთოდ თეთრი უჯრები (მიუხედავად იმისა, რომ შავებს თეთრუჯროვანი კუ ჰყავთ!), ხოლო f4 უჯრის სისუსტეს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. საჭადრაკო სტრატეგიის ერთ-ერთი პრინციპი გვეუბნება: ს ი ს უ ს ტ ე ე ბ ი  ი ქ მ ნ ე ბ ი ა ნ  პ ა ი კ ე ბ ი თ,  მ ა გ რ ა მ  ა მ  ს ი ს უ ს ტ ე თ ა  გ ა ვ ლ ე ნ ა  ფ ი გ უ რ ა თ ა  მ დ ო მ ა რ ე ო ბ ი თ  გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა.

28. ... ლf8 29. ლh3 კf7 30. g5 მფc7 31. gf gf 32. კe6 კ×e6 33. ლ×e6 ლg7 34. a4! ეf8 35. ab ab 36. ეa1 მc8 37. ეa8

მუქარაა 38. ლ×c8! „დაცვის მოსპობის“ იდეა.

37. ... მფb7 38. ლa2 ლd7 39. ლa6 მფc7 40. მd5 მფd8



41. ე×c8!

ტაქტიკა აგვირგვინებს სტრატეგიას. „გეგმაზომიერი კომბინაცია“ — ეივეს კლასიფიკაციით. აქ საქმე გვაქვს იდეების შერწყმასთან: „დაცვის მოსპობა“ და „გათრევა“. მოტივებია: c8, d6, f8 პუნქტების კრიტიკულობა. დამხმარე მოტივია d5 მხედრის პოზიცია.

კიდევ ერთი საინტერესო პარტია ამავე ჩემპიონატიდან. ა. პეტროსიანი (ერევანი. ო/კ) —ვ. სმირნოვი (მინსკი. ო/კ).

1. მf3 d5 2. g3 მf6 3. კg2 g6 4. 0—0 კg7 5. d3 c5 6. მbd2 მc6 7. e4 0—0 8. c3 e5 9. ეe1 d4 10. cd cd 11. a3 b3 12. ლc2 ლb6 13. მb3 მd7 14. კd2 a5 15. ეec1 კb7 16. მc5 მ×c5 17. ლ×c5 ლa6 18. კh3 f5? 19. მg5 მd8 20. ef gf 21. ლe7! ლf6 22. ეc7 ლ×e7 23. ე×e7 ეc8 24. მe6 მ×e6 25. ე×b7 ეc2 26. კ×a5 ე×b2 27. კb4 მg5 28. კ×f8 მ×h3. 29. მფg2 მფ×f8 30. ეc1! შავები დანებდნენ.

ქვემოთ მოყვანილ პარტიაში — „დინამოს“ ვაჟთა 1970 წლის თბილისის პირველობაზე — 13 წლის გენადი ზაიჩიკმა სტრატეგიის „გაკვეთილი ჩაუტარა“ თავის გამოცდილ მეტოქეს.

## ძველინდური დაცვა

გ. ზაიჩიკი (თბილისი. პირველთანრიგოსანი — ა. ქსავერიევი (თბილისი, პირველთანრიგოსანი). თბილისი, 1970 წელი.

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. კe2 (ავერბახის სისტემა. იხ. ავერბახი — პანო, ბუენოს-აირესი) 0—0 6. კg5 h6 7. კe3 e5 8. d5 მbd7 9. h4!

ეს პროფილაქტიკაა (და არა შეტევა). თეთრებს სურთ h4-h5 სვლით გამოიწვიონ g6-g5, რასაც მოჰყვება h5 უჯრის დასუსტება. ეს კი საშუალებას მისცემს მათ ალკვეთონ შავების საპროგრამო კონტრთამაში მეფის ფრთაზე f7-f5. თუ ახლა 9... h5, მაშინ, სათანადო მომზადების შემდეგ, g2—g4.

9. ... მc5 10. ლc2 c6 11. h5! g5 (იხ. პოლუგაევსკი — ულმანი, სარაევო, 1965 და




### ორთქლმავლების მუზეუმი

იაპონიის ქალაქ აომორიში გადაწყვიტეს შეექმნათ ორთქლმავლების მუზეუმი. დახმარებისთვის მიმართეს „ინდონეზიის რკინიგზის სახელმწიფო კომპანიას“, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ძველი ორთქლის ლოკომოტივების უდიდესი კოლექციის მფლობელია. ინდონეზია ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში ყიდულობდა ორთქლმავლებს პოლონეთის, გერმანიის, აშშ-ს, საფრანგეთის, ინგლისისა და იმავე იაპონიისაგან. მაგრამ ამ შეძენას არავითარი კავშირი არა აქვს მუზეუმთან, რადგან მანქანები მხოლოდ საჭიროებისამებრ გამოიყენება. საქმე ისაა, რომ ამჟამადაც ინდონეზიაში ორთქლმავალი რკინიგზაზე წევის ძირითადი სახეობაა. შეთანხმების თანახმად, იაპონიის მუზეუმმა მიიღო 100 წლის წინანდელი ევროპული და ორიც გასულ საუკუნეში გამოშვებული იაპონური ორთქლმავალი, რომლებიც გაცვალეს ახალ ორთქლმავლებზე.

### ტკბილი ქანდაკება

აშშ-ის ქალაქ რიჩმონდის ცენტრალურ მოედანზე დგას გენერალ რობერტ ედუარდ ლის ქანდაკება. იგი საკმაოდ დიდი ხნისაა, ამიტომ მისი განახლების დროც დადგა. გამოცდილმა ოსტატმა შეამჩნია, რომ ქანდაკების ბრინჯაოს ცხენი რაღაც უცნაურ ყრუ ხმას გამოსცემდა. მან შენიშნა, რომ ცხენის ნესტოებსა და პირში ფუტკრები შედი-გამოდიოდნენ. და რა აღმოჩნდა: ცხენის მკერდი და კისერი სავსე იყო მშვენიერი თაფლით. ბრინჯაოს „სკიდან“ 250 კილოგრამი თაფლი ამოიღეს.



ფარაგო — ულმანი, ლაიპციგი, 1975) 12. f3 ლe7 13. g4

მეფის ფრთაზე მიზანი მიღწეულია. ბრძოლის ბედი ლაზიერის ფრთაზე უნდა გადაწყდეს.

13. ... cd 14. cd კd7 15. მh3 მh7 16. მf2 ეfc8 17. 0—0 მf6 18. ლd2 ეc7 19. კb5!

იცვლება შავების „კარგი“ კუ, რის შემდეგ მათ ბანაკში ქრონიკულად სუსტდება თეთრი უჯრები, კერძოდ, f5 უჯრა. ცენტრში პაიკთა კონფიგურაციით თეთრების შავუჯრედიანი კუ „კარგია“, ხოლო შავებისა — „ცუდი“.

19. ... ეac8 20. კ×d7 ლ×d7 21. ეfc1 b5 22. b4!

პატარა გენადი უტყუარად აფასებს პოზიციას. შავებს არ შეუძლიათ c4 უჯრის სისუსტის გამოყენება.

22. ... მa6 23. a3 ეc4 24. მd1 მc7

„ცუდი“ კუსა და საკმაო სისუსტეების გამო შავების პოზიცია სტრატეგიულად წაგებულია. ერთი ეტლის შემონახვით მათ სურთ ბრძოლის გართულება. საყურადღებოა — შავებს აშკარად შეცდომა არ დაუშვიათ.

25. მb2

შეიძლებოდა 25. ე×c4 bc 26. a4 და მc3, მაგრამ თეთრებს სურთ c ხაზის გამოყენება.

25. ... ე×c1 26. ე×c1 a6 27. ეc6! მფf8 28. ლc2 მფe8 29. კb6 მფd8 30. მh1!

კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ნორჩ მოჭადრაკეს ზედმიწევნით ესმის პოზიციის ენა.

30. ... მg8 31. მg3 მe7 32. ეc8

შეიძლება ხარისხის შეწირვა: 32. მd1 მ×c6 33. dc ლe6 34. მe3 მფe8 35. კ×c7 ე×c7 36. მd5 ეc8 37. მf5 +-—.

32. ... კf8 33. მd1! კg7 34. მe3 კf8 35. მgf5



შავები დანებდნენ.

შავების ერთადერთი „შესაძლებელი“ სვლაა 35. ... მg8, რასაც მოჰყვება 36. ეc6 კe7 37. მ×d6!

მთელი პარტია ნორჩმა მოჭადრაკემ ჩაატარა როგორც ნამდვილმა დიდოსტატმა!

## ალიოხინი — ნიმცოვიჩი



c ხაზზე მსგავს მომაკვდინებელ დაბმაში და ცუგცვანგში აღმოჩნდა ნიმცოვიჩი ალიოხინთან სან-რემოს 1930 წლის საერთაშორისო ტურნირში. აი ეს პოზიცია (იხ. დიაგრამა).

შავები დანებდნენ.

პაიკებით ორიოდე უმნიშვნელო სვლის შემდეგ შავები იძულებული გახდებოდნენ ეთამაშათ ლe8, და მაშინ მყისვე იგებს b4-b5.

ახლა გავეცნოთ გოგონებში საქართველოს 1967 წლის პირველობაში გამარჯვებულ ახალბედა, 12 წლის ლალი გელიაშვილის ერთ-ერთ პარტიას გამოცდილ მეტოქესთან.

## სიცილიური დაცვა

### გელიაშვილი

(თბილისი. მეორე თანრიგოსანი).

### ჩიქოვაავა

(თბილისი. ოსტატობის კანდიდატი)

თბილისი, 1967 წ. მარტი.

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ×d4 a6 5. მc3 ლc7 6. კd3 მf6 7. 0—0 b5 8. a3 (8. e5! ლ×e5? 9. ლf3 ეa7 10. მd×b5 ab 11. მ×b5) 8. ... კb7 9. კe3 (?) d5! 10. f3 კc5! 11. მფh1 e5 (ენერგიული თამაშით შავებმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს) 12. მc×b5 ლb6 (12. ... ab! 13. კ×b5 მფf8) 13. მf5 ab? (13. ... კ×e3!) 14. მ×g7 მფd7 15. კ×c5 ლ×c5 16. f4 მფe7? (სჯობდა 16. ... ეg8. თეთრების მიერ ბრძოლის გამწვავებამ თავისი ნაყოფი გამოიღო — რამდენიმე უზუსტობა შავების მხრიდან). 17. fe მ×e4 18. მf5 მფf8 19. კ×e4 (ეს მომენტიც მეტყველებს პოზიციაში არსებულ დისჰარმონიაზე) 19. ... მbd7 20. მh6 მ×e5 21. ლh5 ლc7 22. ეf5 de 23. ეaf1 კd5 24. ე×e5 კ×c4 25. ეc5 ლd7 26. ე×c4! ეa7 27. ეc8! შავები დანებდნენ.

პარტიის მეორე ნახევარში თავი იჩინა ლალი გელიაშვილის ნიჭიერებამ და შემართებამ.

ამოსახსნელად გთავაზობთ ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატების (კუშიანი-ლომაია) პარტიის დაბოლოებას თბილისის ვაჟთა 1971 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალიდან.



სვლა თეთრებისაა.

თეთრებმა გაიმარჯვეს ტაქტიკური დარტყმით.

ველით თქვენს პასუხს.

## ვივალდის მუსიკის თანხლებით

თმის გაშრობა ფენის ქვეშ ქალებისათვის ყველაზე ხანგრძლივი და დამღალავი პროცედურაა. ახლახან იაპონელებმა გამოიგონეს ყურსასმენებიანი ფენი. ქალი თავისი გემოვნებით ირჩევს კასეტს, რთავს ფენს და მუსიკის ჯადოსნურ სამყაროში იძირება.

## ტელაპია და წყალმცენარეები

აფრიკული თევზი ტელაპია იმდენ წყალმცენარეს ჭამს, რომ თავისუფლად შეიძლება შეცვალოს ძვირადღირებული სამელიორაციო დანადგარი. ასეთ დასკვნამდე მივიდა ამერიკელი იქთიოლოგი ლეგნერი მრავალი წლის დაკვირვების შემდეგ.

მეცნიერის აზრით, ჯერ უნდა შემოწმდეს, ხომ არ დაარღვევს ამ თევზის ფართოდ გამოყენება არსებულ ეკოლოგიურ წონასწორობას.

## ყველაზე... ყველაზე... ყველაზე...

დედამიწის მცხოვრებთა შორის ყველაზე მაღალი მამაკაცია პაკისტანელი მუჰამედ ალამ ჩანა (დაიბადა 1945 წელს) — 2 მ და 50 სმ, ხოლო ყველაზე მაღალი ქალი — ჩინელი სან ჩანგლინი (დაიბ. 1964 წელს) — 2 მ და 40 სმ.

ყველაზე მაღალი საცხოვრებელი სახლი ჩიკაგოშია. ამ 70-სართულიანი ცათამბჯენის სიმაღლე 196,7 მეტრს უდრის.

ძაღლებში ყველაზე დიდია სენბერნარი. ამ ჯიშის ერთ-ერთი წარმომადგენელი, სახელად ბენედიქტინი, 1978 წელს 138 კილოგრამს იწონიდა.

ყველაზე ფართო ხიდი სიდნეის (ავსტრალია) ნავსადგურშია, მისი სიგანეა 51,8 მეტრი. ხიდზე გადის ორი რკინიგზის ლიანდაგი და 9 სატრანსპორტო მაგისტრალი ავტომანქანების, ველოსიპედებისა და ფეხით მოსიარულეებისათვის.



ყველაზე პატარა ცხენი არგენტინაში ცხოვრობს. იგი ქათამზე ოდნავ უფრო მაღალია და 36 კილოგრამსაც კი არ იწონის.

ყველაზე გრძელი ანბანი კამპუჩიელებს ეკუთვნით — მასში 72 ასო შედის.

ყველაზე მსხვილი მარგალიტი, რომელიც გიგანტური ფილიპინური მოლუსკის ნიჟარაში აღმოჩნდა, 6,2 კილოგრამს იწონის.



●

კონსერვის ქილის ნახმარი ხუფი შეგიძლია გამოიყენო ხელმეორედ. ამისათვის საკმარისია სახუფავს ერთი პატარა დეტალი დაუმატო. სახუფავით ისევე უნდა იმოქმედო, როგორც დახუფვისას, ოღონდ ახლა მომჭერი პირიქით, ცენტრიდან პერიფერიისკენ უნდა ამოძრაო.




●

სანთელი გაცილებით უფრო გვიან ჩაიწვება და ნალვენთიც აღარ შეგაწუხებს, თუ სანთლის ზედა ნაწილს 0,1-02 მმ სისქე ლითონის კილიტის (фольга) რგოლს ჩამოაცვამ. რგოლი, პარაფინის წვის კვალდაკვალ, თანდათან ქვევით უნდა ჩამოაცურო ხოლმე.



●

ზოგ სპორტულ ფეხსაცმელს ერთი ნაკლი აქვს — საკმარისია რამეს ფეხი წამოჰკრა და ლანჩაც ასძვრება. თუ წინასწარ ასეთ ფეხსაცმელს ცხვირზე საავტომობილო კამერის ზოლს დააწებებ („სუპერცემენტით“ ან სხვა მსგავსი წებოთი), ამგვარი მარცხისაგან დაზღვეული იქნები.



●

ბურთულიანი ავტოკალამი ხშირად ფუჭდება პასტიანი ღეროს გამოსავალთან კორპუსის გასკდომის გამო, მაგრამ მოდი, ნუ იჩქარებ მის გადაგდებას: გაახურე უფრო დიდდიამეტრიანი პლასტმასის ღერო, გამსკდარ კორპუსს ჩამოაცვი და სამართებლით ჩამოასწორე. ავტოკალამი კიდევ დიდხანს მოგემსახურება.



●

ასედაც ხდება: ჯიბის ფარნის ნათურის ვაზნა ზოგჯერ ნათურას ვერ იჭერს იმის გამო, რომ მისი კუთხვილი უფრო განიერია. ასეთ შემთხვევაში ნათურის ცოკოლს ალუმინის კილიტის (фольга) ზოლი შემოახვიე და პრობლემაც გადაიჭრება.





## სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


მ. კარგარეთელი — ასე ცხოვრობს „მერცხალი“ (ნარკვევი) . . . . . . გარეკ. 2
ნ. ხარაზიშვილი — ჩვენ... ცისკრელები (ნარკვევი) . 2
ზ. ტაბაღუა — შეცდომა (მოთხრობა, გაგრძელება) . . 5
ვ. ასლამაზიშვილი — სკოლა-მეურნეობა „იმედი-85“ დიდი რთველის მოლოდინში (ნარკვევი) . . . 10
ნ. შამანაძე — ლექსები . . . . . . 15
მ. ჩხეტიანი — იმ ფერმკრთალ ბინდებს (ლექსი) . . 15
დ. ნოდია — მუდმივი სიჭაბუკის საიდუმლო (წერილი) . 16
ნ. ფაილოძე — ბალალაიკა (მოთხრობა) . . . . 18
აისი . . . . . . . . . 22
ჰ. ტალკე — ღარიბთა უბანში (მოთხრობა) . . . . 24
გ. ეწერელი — ჩვენი ერთგული მეგობარი — ველოსიპედი (წერილი) . . . . . . . . . 27
ნიკოტინი ადამიანის წინააღმდეგ (წერილი) . . . 29
მხედრიონი . . . . . . . . 30
გამოგადგება . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. 3
ტყე შეუნახე შვილებსა... . . . . გარეკ. . 4


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ედუარდ ამბოკაძისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 98-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—98-97-08, 98-58-05, განყოფილებების—98-97-92, 98-97-01. გადაეცა ასაწყობად 26. 06. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 08. 85 წ., ქაღალდის ფორმატი $60\times90^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. № 1423. ტირაჟი 157.000. ევზ., უე 14601.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60\times90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 157.000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი“, 1985 წ.

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი

**თარაზულად:** 5. ავადმყოფობის მიმდინარეობაში გარდატეხის მომენტი, რომელსაც მოსდევს ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესება ან გაუმჯობესება; 6. ლითონის ცეცხლგამძლე კარადა ან ყუთი დოკუმენტების, ფასიანი ქაღალდების, ძვირფასეულობის შესანახად; 8. გადახურული ოთხთვალა საზიდარი; 9. ჩინეთის ქალაქი; 10. გერმანელი მოჭადრაკე; 14. სიმძიმეების აწევაში სავარჯიშო ძირითადი იარაღი; 15. მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. ფარული, უდნავ შესამჩნევი დაცინვა; 17. ადამიანის სხეულის ზედა ნაწილის ქანდაკება; 19. უმცროსი მატროსი; 21. ინდოეთის ოკეანის კუნძული; 22. ზომიერების გრძნობა ადამიანებთან ურთიერთობაში; 24. დახშული ზედაპირი, რომლის ყველა ნაწილი თანაბრადაა დაშორებული ცენტრიდან; 25. ინდოეთის მდინარე; 26. სახელმწიფო ხელისუფლების არჩევითი ორგანო; 27. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 28. მზის სისტემის პლანეტა; 29. მოხარშული ზეთი, რომელსაც იყენებენ ზეთის საღებავისა და ლაქების დასამზადებლად; 34. აფრიკის მდინარე; 36. სპორტის სახეობა; 40. ფულის ერთეული ავღანეთში; 41. რევოლვერი, რომელსაც აქვს მბრუნავი სავაზნე; 42. სახელმწიფოს, დაწესებულების წარმომადგენელი, რწმუნებული; 43. დაწესებულება, სადაც ინახება ძველი წერილობითი ძეგლები და საბუთები; 44. წარსულში განთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი; 45. კონუსის ან ნახევარსფეროს მოყვანილობის ქეჩის კარავი; 46. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი.



**შვეულად:** 1. კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი; 2. უმაღლესი ქედი მსოფლიოში; 3. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 4. მე-18 საუკუნის ავსტრიელი კომპოზიტორი; 6. აფრიკის სახელმწიფო; 7. ადამიანის მისწრაფებათა და მოღვაწეობის საბოლოო მიზანი; 9. სოფელი დუშეთის რაიონში; 11. მაყურებელთათვის განკუთვნილი სართული თეატრში; 12. საქართველოს მდინარე; 13. იტალიელი ფეხბურთელი; 18. ციური სხეული; 20. სოფელი კასპის რაიონში; 23. სრული უწესრიგობა, არეულდარეულობა; 27. საკავშირო გაზეთი; 30. მისაღები თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ უხდიან შესასრულებელი სამუშაოს ანგარიშში; 31. ევროპის მდინარე; 32. აფხაზეთის ასსრ-ის ქალაქი; 33. ამაღლებული ადგილი, საიდანაც კითხულობენ ლექციას; 34. ინგლისელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი; 35. ავსტრალიის ქალაქი; 37. რაიმე მანქანის ან მექანიზმის დაზიანება, რაც სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისათვის; 38. მოქმედების უნარი, ძალა; 39. აფრიკის სახელმწიფო.

შეადგინა ალ. გორგიშვილმა



## გამოცანები

ცეცხლზე დგას და აროდეს
არ უნახავთ დამწვარი.
ყურები აქვს — არ ესმის...
გამოიცან, რაც არი?

დღე და ღამე გზაშია,
არ ჩერდება აროდეს,
არ მინახავს არცერთხელ,
წინ არ მიუჩქაროდეს.

სუფთა ცაზე გაშლილა
ვარსკვლავების ხალიჩა,
იმ ვარსკვლავებს შორის კი
ნისლოვანი კვალი ჩანს.
ხალხი ამბობს — „ის კვალი
ნახტომია ცხოველის".
რა ცხოველის, თუ იცი?..
პასუხს შენგან მოველი!

ვიცნობ თეთრეულის
ერთ მეგობარს ნამდვილს, —
როცა დაბამენ,
სწორედ მაშინ დადის.

გ. შეთეკაური

ვინძლო, ეს ჩემი სათქმელი
ჩამოვამწკრივო რითმებად:
ერთი კაშკაშა სანთელი
მზის შორი სხივით ჩნდება და
ყველაზე გვიან ქრება და
ყველაზე ადრე ინთება.

ის რომ არ იყოს,
ლაფში მწოლ
კამეჩებს დავემსგავსებით.
გვემსახურება, ილევა,
მერე კი ქრება სავსებით.

ნ. მარიხია

## პასუხი № 7-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

ოსტატი ისე მოიქცა, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, და მიიღო კვადრატი, რომლის გვერდები 12 სანტიმეტრია.





### კროსვორდი

**თარაზულად:** 1. კეხი; 3. პლომბირი; 8. პალმა; 9. ვარიეტე; 10. ზარანდია; 13. აორტა; 15. ნანტი; 17. დაირა; 18. ბურატინო; 22. ბრუმელი; 23. ფლორა; 24. ახათიანი; 25. ხიმი.

**შვეულად:** 1. კაპიტანი; 2. ხელეური; 4. ოსაკა; 5. ირემი; 6. იდეა; 7. ტანზანია; 11. რინგი; 12. ნაიდორფი; 14. ავალიანი; 16. ციკლონი; 19. ულუფა; 20. ტოლჩა; 21. აბრა.

### გამოცანა

ბატი.

### შარადები

მაისი,
მოსკოვი.



ინდექსი 76157

162/133

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად გვსმენია მშრომელი კაცის გულიდან ამოთქმული ეს სიმღერა, საუკუნეების სიღრმიდან მოყოლილ საზრუნავსა თუ საწუხარს რომ გვახსენებს.

ტყე შეუნახე შვილებსა... საქართველოს ტერიტორიაზე ხომ უმშვენიერესი ტყეებისა და ნარგავების მასივებია გადაშლილი.

მუდამ უნდა გვახსოვდეს: ყოველი ხე და ბუჩქი სიცოცხლის თანაზიარია, ჩვენი ჯანმრთელობის ერთგული მასაზრდოებელი.

მაშ, გავუფრთხილდეთ ტყეს!

გახსოვდეთ: ზაფხულის დღეებში, განსაკუთრებით გვალვიანობისას, შრება ნიადაგი, ბალახი და ყოველი გაუფრთხილებელი მოპყრობა ცეცხლთან, სახელდახელოდ კოცონის დანთება, ჩაუქრობელი ასანთისა თუ ნამწვის გადაგდება მძიმე (შესაძლოა, საბედისწერო) შედეგებამდე მიგვიყვანს.

და როცა ტყეს ჟრიამულით შეესევით, სილაღითა და სიხალისით აღივსებით, ნუ მიგავიწყდებათ, რომ ხანძრისგან ტყის დაცვა ყოველი თქვენგანის საპატიო მოვალეობაა.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: ხანძარი დიდი გამანადგურებელი ცეცხლია, რომლის ჩაქრობა ტყეში ძალზე ძნელია. მის ჩასაქრობად საჭიროა უდიდესი მატერიალური და ადამიანური რესურსები, ტყეში გაჩენილი ყოველი ხანძრის შემდეგ კი თავისებურად ვიწროვდება ადამიანის მაცოცხლებელი ბუნების სფერო.

დაიცავით ტყე ხანძრისაგან!

მუდამ უნდა გვახსოვდეს: ყოველი ბუჩქი სიცოცხლის თანაზიარია!

საქართველოს სსრ შსს სახანძრო დაცვის სამმართველო
საქართველოს სარეკლამო სააგენტო





# ტყე შეუნახე შვილებსა...

ფასი 20 კაპ.